პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი

№ 210 (13902) | ხუთშაბათი, 7 სექტემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

საიუბილეო ვაცხელზე

პრესა — მასებს!

ОПРАВДА

6 სექტემბრის მოწინავე

1960 ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში დაიწყო 1968 წლის ეურნალ-გაზეთების გამოწერა.

სოციალისტური სახელმწიფოს ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის ყველა ეტაპზე ჩვენი პრესა ერთგულად ემსახურება პარტიასა და ხალხს, იგი კოლექტიური პროპაგანდისტი, აგიტატორი, საზოგადოებრივი აზრის ორგანიზატორი, ნამდვილი ტრიბუნაა. იგი ეხმარება პარტიას აღსარდოს ლენინური იდეების გამარჯვებისათვის მამაცი მებრძოლები, მგზნებარე პატრიოტები, რომლებიც მთელ თავიანთ ენერგიას, გამოცდილებას, ცოდნას ახმარენ კომუნისტურ მშენებლობას.

დახედეთ გაზეთების ფურცლებს — რა მკაფიოდ გამოხატავენ ისინი ხალხთან საბჭოთა პრესის განუყოფელ კავშირს! ათეულ ათასობით მკითხველი — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები აქტიური კორესპონდენტები გახდნენ და გაზეთებში ცხოვლად გვესაუბრებიან ჩვენი დროისა და საკუთარი თავის შესახებ, გვატყობინებენ, როგორ მიმდინარეობს საოქმობრო შეჯიბრება, იგონებენ წარსული ბრძოლებისა და შრომითი მიღწევების ბეროიკას, ახარებთ მშენებლობათა დაძაბული მარშში, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს წინსვლას. საბჭოთა პრესა პარტიის მძლავრი იდეური იარაღი, მისი ყოველდღიური თანამგზავრია. 1917 წელს XXIII ყრილობის გადაწყვეტილებების, ხუთწლიანის დავალებების განხორციელებისათვის, კომუნისტური ფორალის პრინციპების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

ახლა უფრო სრულად კმაყოფილდება ეზარდი მოთხოვნილება პერიოდულ გამოცემებზე, ჯერე რამდენიმე წლის წინათ: მათი ტირაჟები ბევრად გაიზარდა. ამგრამ ხელმოწერის კამპანიის წარმატებას მარტო ხელისმომწერთა რიცხვის ზრდა როდი განსაზღვრავს. პრესის გავრცელება მუდამ უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. ეწინარეს ყოველისა იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ მკითხველები შევაიარაღოთ გამოცემებით, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროა ცხოვრების, მუშაობისა და სწავლისათვის.

უკანასკნელი წლებისათვის დამახასიათებელია პარტიულ გამოცემათა ტირაჟის გადიდება. მაგალითად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეურნალები — „კომუნისტი“, „პარტიინაია ჟიზნ“, „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიე“, „აგიტატორი“ ახლა გავრცელებულია ოთხ მილიონ ცალად. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“, სადაც ნაზგასმულია, რომ საჭიროა კომუნისტების პოლიტიკური სწავლის გაუმჯობესება, სწორი ორიენტირი იქნება ხელის მოწერის კამპანიაში. პარტიული ორგანიზაციები უნდა ცდილობდნენ, რომ პოლიტიკური განათლებისათვის საჭირო გამოცემები უფრო ფართოდ ვრცელდებოდეს თვითეულ კოლექტივში.

ხად მიმდინარეობს ხელმოწერა წარმატებით პირველი დღეებიდანვე? იქ, სადაც პარტიული კომიტეტები ყოველდღიურად უთმობენ ეურადღებას პრესის პროპაგანდას და თვალეურს ადევნებენ კავშირგაბმულობის, „სოიუზპეჩატის“ ორგანოების საქმიანობას, საქმიანად წარმართავენ საზოგადოებრივ გამავრცელებელთა მუშაობას. საგულისხმოა ლენინგრადის გამოცდილება. აქ სკკპ საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში უკვე შვიდი წელია ნაყოფიერად მუშაობს პრესის პროპაგანდისა და გავრცელების საზოგადოებრივი საბჭო. იგი ხელმძღვანელობს საქარხნო, საამქრო, რაიონულ საზოგადოებრივ საბჭოებს, აქტივისტთა 50 ათასამდე არმიას. კარგად მუშაობენ ხელმოწერაზე ქალაქ მოსკოვისა და დედაქალაქის ოლქის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, უკრაინის, რესპუბლიკების, ეორკისა და სვერდლოვსკის ოლქების პარტიული ორგანიზაციები. სავსებით გამართლა დანიშნულება პრესის პროპაგანდის სხვადასხვა ფორმამ, რომლებსაც წარმატებით იყენებენ ბევრ ქალაქსა და სოფელში. ეს არის მკითხველთა კონფერენციები, ეურნალ-გაზეთების გამოფენები, მათი შინაარსის პოპულარიზაცია რადიოთი, ტელევიზიით და ა. შ.

ეურნალ-გაზეთების გამოწერა ნებაყოფლობითი საქმეა. არ შეიძლება შეეურიგდეთ ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევის ფაქტებს, რომლებიც ზოგან შეგვხვდა კამპანიის პირველ დღეებში. შეუეუნარებელია, როცა ამა თუ იმ გაზეთს „დაკვირთვის“ სახით თავს აძვევენ სხვა პოპულარული გამოცემების გამოწერასთან ერთად. პარტიული ორგანოები ამ ეურღვევი პრინციპის სადარაჯოზე უნდა იდგნენ. „სოიუზპეჩატის“ მთავარმა სამმართველომ და მისმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, ისევე როგორც წარსული წლებში, უნდა გაითვალისწინონ, რომ მეტიწილი გამოცემები ვრცელდება ინდივიდუალური ხელმოწერით. უნდა ვიზრუნოთ სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხარჯზე ხელმოწერის მნიშვნელოვანი შემცირებისათვის.

მკითხველთა შორის თავიანთი ავტორიტეტის განმტკიცების მიზნით რედაქციები სრულყოფენ ეურნალ-გაზეთების შინაარსს, ამალლებენ მათს ლიტერატურულ დონეს. საყურადღებოა ის ცდები, რომ სოციოლოგიური კვლევის მეთოდით შეისწავლონ მკითხველთა მოთხოვნილებანი, რათა უფრო სრულად დაკმაყოფილონ ისინი. ასეთმა კვლევამ, მაგალითად, ხელი შეუწყო პარტიის ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტს გაემდიდრებინა რაიონული გაზეთების თემატიკა, უფრო პოპულარული გაეხადა ისინი. მაგრამ არის სხვაგვარი ცდებიც — ეოველ საშუალებას მომართონ, ოღონდ მოიპოვონ ავტორიტეტი. და აი პრესის ერთი ორგანონი ხელმოწერის კამპანიის დროს იბეჭდება დეტექტიური რომანი, რომელსაც გაგრძელება მოსდევს, სხვა ორგანო ცდილობს მკითხველის ყურადღება მიიპყროს გაცვეთილი ანეგდოტებით „რომეოდან ჩვენს დრამდე“. ზოგიერთი რედაქცია იმასაც კი არ ერიდება, რომ გადიდებულ პრემიას პირდება ხაზოგადოებრივ მუშაკებს, თუ ე�d გავრცელებენ სახელდობრ მათს გამოცემებს. ყოველივე ეს უვარგისი ცდებია და იწვევს ზოგიერთი პერიოდული გამოცემის ტირაჟის მხოლოდ ხელოვნურ გადიდებას, ქაღალდის ზედმეტ ხარჯვას, ქმნის სიძნელეებს აუცილებელი წიგნების, მაგალითად, სასწავლო ლიტერატურის გამოშვებაში.

ხელის მოწერის კამპანია პრესის გავრცელების მთელი სისტემის სერიოზული შემოწმების პერიოდია. ეუურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ არც ერთი სიგნალი იმის შესახებ, რომ იგვიანებს ეურნალ-გაზეთების გამოსვლა, რომ არის შეუწყნარებელი შემთხვევები, როცა პერიოდულ გამოცემათა მიტანის ვადები ირღვევა კავშირგაბმულობის მუშაკთა მიზეზით, რომ ნაკლოვანებანია გაზეთების საცალო ვაჭრობაში. თუ სწრაფად გამოეხმაურებიან ყოველ ასეთ სიგნალს, „სოიუზპეჩატის“ ორგანოები, პარტიული კომიტეტები შეძლებენ მოკლე ვადაში აღმოფხვრან ნაკლოვანებანი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

ათობით ჩვენმა გაზეთმა დაიმახსოვრა მთავრობის მადალი ჯილდოები შრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის. კარგი სახელი კიდევ უფრო განამტკიცებს და აღრმავებს ბევრი გამოცემის კავშირს მკითხველებთან. ეს ხელს უწყობს ხელისმოწერის კამპანიის წარმატებას. კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაკთა, საზოგადოებრივ გამავრცელებელთა ღირსების საქმეა ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ შრომელებმა რაც შეიძლება ნაკლები დრო მოანდომონ პერიოდულ გამოცემათა გამოწერას.

ჩვენს დროში ხორცი შეისხა ლენინურმა მითითებებმა პრესის შესახებ, რომელიც თავისი გავლენით მოიცავს მოსახლეობის ყველა ფენას და ახალ ათასობით და მილიონობით ვრცელდება, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

დაე ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, თვითეულ სახლში ეურნალ-გაზეთებს შეჰქონდეს ოქტომბრის ძლევამოსილი იდეები, ავრცელებდეს ლენინური სიმართლის სიტყვას, პარტიის მგზნებარე სიტყვას!

უნგრეთში გაემგზავრა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის მიწვევით 6 სექტემბერს ბუდაპეშტში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით გაემგზავრა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი. დელეგაციამ ხელი უნდა მოაწეროს ახალ ხელშეკრულებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვები.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ბ. ი. პონომარევმა, ა. ა. პირილინკომ, ა. ტ. მაზუროვმა, ა. ი. პელშემ, ნ. ვ. კოდგორნიმ, დ. ს. პოლიანსკიმ, ა. ნ. შელეპინმა, ი. ვ. ანდროპოვმა, ვ. ვ. გრიშინმა, ა. ნ. დემიჩევმა, დ. ფ. უსტინოვმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, თ. დ. ტუზაკოვმა, მ. ს. სოლომენცევმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ბუდაპეშტი, 6 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის მოწვევით ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

გულითადად და ძმურად შეხვდა სოციალისტური უნგრეთის დედაქალაქი საბჭოთა კავშირის დელეგაციას — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინსა და სხვა საბჭოთა სტუმრებს.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახელმწიფო ალმებით მორთულ ფერენჩეიის აეროდრომზე საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენელთა შესახვედრად მოვიდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე პალ ლომბინგი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ენე შოკი და სხვა ოფიციალური პირნი.

ათასობით ბუდაპეშტელი ალმებითა და თაიგულებით მიეგებნა საბჭოთა სტუმრებს, როცა თვითმფრინავიდან გადმოვიდნენ. ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. კადარმა მაგრად ჩამოართვეს ხელი, ძმურად გადაეხვივნენ ერთმანეთს.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მისასალმებელი სიტყვით მიმართა ი. კადარმა.

ლ. ი. ბრეჟნევმა მადლობა გადიხადა გულითადი მიღებისათვის.

ეღერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები, გაისმის ერთა ხალუტის ზალვები. ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. კადარმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს.

შემდეგ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები და უნგრეთის კარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ღია მანქანებით გაეემართნენ საბჭოთა დელეგაციის რეზიდენციაში.

ბუდაპეშტი, 6 სექტემბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, ეწვია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ი. კადარს, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარეს ჟ. ფაბსა და უნგრეთის სასალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ჟ. ლომბინგს.

შეხვედრამ გულითადი, მეგობრულ ატმოსფერში ჩაიარა.

იმავე დღეს დაიწყო უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციების მოლაპარაკება.

მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირის დელეგაციას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, უნგრეთისას — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი.

ენგურჰესის მშენებლობაზე

ХИЛДОЭБИ ГАЗАРХЕБУЛИ

წლის დასაწყისიდანვე წინასაიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ჩაება მექანიზებულ სამუშაოთა სამმართველოს კოლექტივი (უფროსი ა. დიაკოვი). ახლახან შეჯამდა შეჯიბრების შედეგები.

ავტომანქანების, სამუშაო მექანიზმების სანიმუშოდ მოვლისათვის და ვალდებულებების ვადაზე ადრე შესრულებისათვის ფასიანი საჩუქრები და საპატიო სიგელები გადაეცათ წყალგამყვანი უბნის კოლექტივს (უფროსი ა. ზვიადაძე), ექსკავატორის მემანქანეს ალ. შევჩენკოს, უფროს მემანქანეებს ა. ნაჭყებიას, ბ. ნარმანიას, ავტომძღოლებს ალ. მანაგაძეს და ფ. კვანტიძეს.

• • •

ШРОМАЗИ წარმატებებს აღწევს ენგურჰესის კაშხალმშენის სამმართველოს კოლექტივი. ამ სურათზე ასახული არიან სამმართველოს მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან მარჯვნივ): მბურღავთა ბრიგადირი ა. ფლოროვი, მბურღავები ო. ხოხიაშვილი და ჯ. ქარდავა, მებეტონეთა ბრიგადირი ზ. ხოხიაშვილი და სამუშაოთა მწარმოებელი ჯ. გიორგობიანი, რომლებსაც შესვენების დროს ესაუბრება სამმართველოს პარტკომის მდივანი გ. გუნავა.

ფოტო თ. ფუტკარაძისა.

არის ელექტროლიტური ლითონი!

ზესტაფონი, (საკ. კორ.). მეოთხედი საუკუნის ამბავია. დიდი სამამულო ომი მძვინვარებდა. სამშობლო განსაცდელში იყო. მას ტანკები და ავიაცია ჰაერიდან ესაჭიროებოდა. ამისათვის კი აუცილებელი იყო სპეციალური ფოლადი.

ფეროშენადნობთა ქარხანაში უძიელო ღამეებს ათენებდნენ. ქიმიური ცდები და ანალიზები არ წყდებოდა. ცოდნამ, შეუპოვრობამ და თავდადებამ გიმარჯვა. პირველად საბჭოთა კავშირში ზესტაფონელებმა მიიღეს 99-პროცენტიანი ლითონური მარგანეცი ელექტროლიტით. ამ დიდი საქმის სულისჩამდგმელები ქარხნის კოლექტივთან ერთად იყვნენ ახლა აკადემიკოსი რ. აგლაძე და ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარი ინჟინერი ე. სიორიძე. ამისათვის მათ სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მიენიჭათ.

სწორედ მაშინ ამენდა ზესტაფონში მესამე საამქრო, რომლის კოლექტივი შეუფერხებლად აძლევს სამშობლოს ძვირფასა ლითონს. აქ უკვე მშვიდობიანობისათვის მშრომობენ. ამ სახე ღონისძიებანი კოლექტივმა, რომელსაც კარგახანია საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი დ. ბოგვერაძე თავკაცობს, თავი გამოიჩინა საიუბილეო შეჯიბრებაში. მან უკვე რვა თვის დავალება შეასრულა, დაზოგა 1.400 ტონა ნედლეული, 467.613 კილოვატ-საათი ელექტროენერგია, სამშობლოს მისცა 118 ათასი მანეთი მოგება.

თავდადებულად შრომობენ ცვლების კოლექტივები, რომლებსაც ლ. სულაქველიძე, პ. მჭედლიძე, ელ. გოცაძე უძღვებიან.

მოდის ელექტროლიტური შვირფასი ლითონი...

მოდის უკრაინის პური!

გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა

უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელები დიდი მიღწევებით ხვდებიან საყოველთაო სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

უკრაინის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, ფართოდ გააჩაღეს რა შეჯიბრება სახელოვნი იუბილეს აღსანიშნავად, მარცვლეული კულტურების კარგი მოსავალი მოიწიეს, ორგანიზებულად აიღეს და წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმა. მიმდინარე წლის 5 სექტემბრისათვის საბმშრლოს ბეღლებში შენახულია (გარდა სიმინდისა და ბრინჯისა) თერთმეტი მილიონ ოთხი ათასი ტონა მარცვალი — გეგმის 109 პროცენტი.

მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა სასურსათო კულტურების შესყიდვის გეგმა. პურის მისაღებ პუნქტებში მიტანილია რვა მილიონ ექვსას ორმოცდათხუთმეტი ათასი ტონა ხორბალი, ანუ გეგმის 147 პროცენტი. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე საფურაქე და საბურღელე კულტურების შესყიდვის გეგმა.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები განაგრძობენ სახელმწიფოსათვის მარცლის მიყიდვას.

ჩვენი ქვეყანა

სამეფლიანი

ЛЕНИНУРИ МЕГОБРОБРОБИС ДРОШИТ

ყუბანელი სჯუმრები მცხეთაში

რისთვის გვიყვარს? — ძნელი სათქმელია, მაგრამ როცა ხალხთა ძმობასა და სიყვარულზე ვლაპარაკობთ, ამის ახსნა ადვილია. გვიყვარს ერთმანეთი იმიტომ, რომ ყოველთვის ერთად ვყოფილვართ ჭირსა და ლხინში, ერთობლივი ძალით ვაშენებთ კაცობრიობის ნანატრ მომავალს, ღვიძლი ძმებივით ვეხმარებით ერთმანეთს ცოდნით, გამოცდილებით... მოახლოებული დღესასწაულის წინადღეებში მატულობს მეგობართა სტუმრობა ჩვენს ქვეყანაში. ასე იყო გუშინაც, მცხეთის რაიონის მშრომელები მოუთმენლად ელოდნენ ძვირფას სტუმრებს ყუბანიდან, რომლებიც ავტომანქანებით გამოემგზავრნენ ორი დღის წინათ და ჯერაც არ ჩანდნენ.

პარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა გიორგი კავთიაშვილმა ადრევე იცოდა კრასნოდარის მხარის ეისკის რაიონის მშრომელთა განზრახვა ჩაებნენ მეგობრულ შეჯიბრებაში მცხეთის რაიონთან.

მცხეთელები დიდი მოწონებით შეხვდნენ ეისკელთა წინადადებას, მოიპატიჟეს მათი წარმომადგენლები, რომელთა მოსვლასაც გუშინ ელოდნენ რაიონის საზღვარზე. მალე სტუმრების ავტომანქანებიც გამოჩნდნენ, ქართველი მასპინძლები მეგობრულად ეხვევიან და კოცნიან მეგობრებს, ეცნობიან თვითეულ მათგანს. დელეგაციაში შედიან ეისკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ს. ბონდარევი, მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. დ. ბესლიკი, კოლმეურნეობის „გზა კომუნიზმისაკენ“ თავმჯდომარე ი. ნ. სუროვი, საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის თავმჯდომარე მ. პ. ეფიმოვი, რასისამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარე ვ. თ. კოსტენკო, დელეგაციას ხელმძღვანელობს პარტიის ეისკის რაიკომის მეორე მდივანი ნ. ი. პიგიდა.

სტუმრები და მასპინძლები მიემართებიან მუხრანის საცდელ-სასწავლო მეურნეობაში, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი პ. მახარაშვილი ხელმძღვანელობს. იმართება მეგობრული საუბარი, ყველას სურს ერთმანეთს მოუთხრას მუშაობის თავის გამოცდილებაზე. სასიამოვნოა, რომ ეისკის რაიონის მშრომელებმა წელს კრასნოდარის მხარეში მეორე ადგილი დაიკავეს ხორბლის წარმოებაში. დიდია წარმატებები მეცხოველეობაში, მეფრინველეობაში. ყუბანის ბარაქიან მიწაზე თანდათანობით ფეხს იკიდებს მევენახეობა. — ჩვენს კოლმეურნეობაში, — თქვა ი. ს. ბონდარევმა, — უკვე გვაქვს 162 ჰექტარი ვენახი. საბუნებაროდ, მისი მოვლა-პატრონობა გვიჭირს, არ გვყოფნის საამისო გამოცდილება. ამ მხრივ, მეგონია, ჩვენი მცხეთელი მეგობრები დაგვეხმარებიან.

საუბარში ჩაერია ი. ნ. სუროვი: — ჩვენთან, გარდა მარცვლეული მეურნეობისა და მეცხოველეობისა, წარმატებით ვითარდება მეფრინველეობა. კოლმეურნეობაში ახლა გვყავს 25 ათასი დედალი. ყოველწლიურად ვაბარებთ სახელმწიფოს 1.500 ათას კვერცხს. 1970 წლისათვის კვერცხის წარმოებას 5 მილიონ ცალამდე გავზრდით.

— როგორია თქვენი მთავარი ეკონომიური მაჩვენებელი? — აინტერესებთ მასპინძლებს.

— წარმოებაში დახარჯულ თვითეულ მანეთზე 77 კაპიკი წმინდა მოგება გვრჩება — უპასუხებს ი. ნ. სუროვი.

— კარგია! — გაისმის ხმები.

მცირე შესვენების შემდეგ სტუმრები გაემგზავრნენ მცხეთაში. დიდი ინტერესით დათვალიერეს მანქანათა გამოცდის სახელმწიფო სადგური მცხეთის მევენახეობის მეურნეობის ზვრები, იყვნენ ცნობილი მევენახის, სოციალისტური შრომის გმირის ფირუზ სოხაშვილის რგოლის ნაკვეთში. იდეალურად მოვლილმა დახუნძლულმა ვაზმა სტუმრების აღტაცება გამოიწვია. — ჩვენც ასე უნდა მოვუაროთ ვაზს, თუ გვინდა წარმატებას მივაღწიოთ, — თქვეს ყუბანელმა მეგობრებმა. შემდეგ პარტიის რაიკომის შენობაში გაგრძელდა სიმღერიანი საუბარი ორი რაიონის მშრომელთა სოციალისტურ ვალდებულებებზე.

წლეულს მცხეთელმა მევენახეებმა სოციალისტური ვალდებულებით სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 3.300 ტონა ყურძენი. მაგრამ ამას როდის სჯერდებიან. მათი პირობაა ვალდებულება ორმაგად შეასრულონ.

მეგობართა შეხვედრის პირველი დღე დამთავრდა. წინ სიხარულისა და სიყვარულის მრავალი დღეა.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: ყუბანელი და მცხეთელი მეგობრების შეხვედრა ზვრებში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

6 სექტემბერს მოსკოვში მუშაობა გაგრძელ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციამ „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მსოფლიო სოციალისტური სისტემა“.

დილის სხდომა დაიწყო ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მდივნის მოადგილის, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დ. ოსტროვსკის გამოსვლით, რომელმაც ილაპარაკა სამრეწველო ობიექტების მშენებლობაში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის შესახებ.

მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა

მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის სამთავრობათშორისო კომისიის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მუდმივი ქვეკომისიის პირველი სხდომა. განიხილეს შემდგომი მუშაობის თემატიკა, დამტკიცეს „სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განხორციელების ზოგადი პირობები“. მხარეები შეთანხმდნენ, კერძოდ, საწარმოო გამოცდილების გაზიარების მიზნით სპეციალისტთა ურთიერთმივლინების შესახებ. გადაწყდა გაუზიარონ ერთმანეთს შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია.

პირველი სხდომის მუშაობა, მონღოლეთისა და საბჭოთა დელეგაციების წევრთა შეხვედრები და საუბრები მიმდინარეობდა გულითადობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში. (საკდესი).

ზაპოროჟიე საზღვაო ნავსადგურია

ზაპოროჟიეს ვ. ი. ლენინის სახელობის ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა პირველმა საზღვაო ხომალდმა — „პავლე პოსტიშევმა“. ნენკრზე საცდელი რეისით ხომალდმა აქ მოიტანა ბოქსიტები — ნედლეული ალუმინის წარმოებისათვის.

ამრიგად, ზაპოროჟიე გახდა უკრაინის ახალი საზღვაო ნავსადგური. მალე ზაპოროჟიესა და საზღვაო ნავსადგურს შორის იქლის კიდევ ერთი ხომალდი — „ვლას ჩუბარი“. (საკდესის კორ.).

„ომაევარი კალიბრის“ გაზსადენი

ლენინგრადი. 1.200 მილიმეტრი დიამეტრის „მთავარი კალიბრის“ მილებით გაიყვანენ დასავლეთ ციმბირის — ცენტრის გაზის მძლავრ მაგისტრალს, რომლის სიგრძე 3.000 კილომეტრი იქნება. მაგისტრალი გადაიჭიმება ობის ნაპირებიდან ჩვენი ქვეყნის დასავლეთ საზღვრებამდე. გაზის მრეწველობის სპეციალურ ნაგებობათა საპროექტო სახელმწიფო ინსტიტუტმა დაამთავრა ამ უდიდესი გაზსადენის დაპროექტების პირველი ეტაპი.

— ჩვენმა კოლექტივმა შეასრულა საიუბილეო წელს ნაკიხრი მთავარი ვალდებულება — ვადამდე დაამთავრა საპროექტო მოცულობის შედგენა, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ინსტიტუტის მთავარმა ინჟინერმა პ. პ. ლეიმანმა.

ზაპოროჟიეს საზღვაო ნავსადგური

ზაპოროჟიეს ვ. ი. ლენინის სახელობის ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა პირველმა საზღვაო ხომალდმა — „პავლე პოსტიშევმა“. ნენკრზე საცდელი რეისით ხომალდმა აქ მოიტანა ბოქსიტები — ნედლეული ალუმინის წარმოებისათვის.

ამრიგად, ზაპოროჟიე გახდა უკრაინის ახალი საზღვაო ნავსადგური. მალე ზაპოროჟიესა და საზღვაო ნავსადგურს შორის ივლის კიდევ ერთი ხომალდი — „ვლას ჩუბარი“. (საკდესის კორ.).

საქართველო ალჟირის ბაზრობაზე

ალჟირი, 5 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ბოგამაზი გვატყობინებს: „საქართველოს სსრ განყოფილება, რომელიც ალჟირის მე-4 საერთაშორისო ბაზრობაზე საბჭოთა პავილიონის ნაწილია, გამორჩეული ექსპოზიციის დახვეწილი გემოვნებითა და დამთვალიერებელთა დიდი ინტერესით.“

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ შეფასებას, რომელიც გაზეთ „ელ-მუჯაჰიდის“ რეპორტიორს ეკუთვნის. სსრ კავშირის პავილიონში, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო პავილიონად აღიარეს ბაზრობაზე, საქართველოს განყოფილებას ღირსეული ადგილი უჭავია.



საქართველოს სტენდებთან მართლაც ყოველთვის ბევრი ხალხია. ალჟირელებს, რომლებმაც კარგად იციან საბჭოთა კავშირის დიდი მიღწევები ყველა დარგში, სურთ უფრო ახლოს გაიცნონ მისი ერთ-ერთი რესპუბლიკა. მათ აინტერესებთ ის გზა, რომელიც მეფის რუსეთის ამ ყოფილმა განაპირა მხარემ განვლო საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ჩვენი აზრით, საქართველოს პავილიონის ექსპოზიცია სავსებით აკმაყოფილებს როგორც ჩვეულებრივ დამთვალიერებელთა ცნობისმოყვარეობას, ისე საქმიანი წრეების მოთხოვნილებებს.

მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი. რესპუბლიკაში, სადაც 4,5 მილიონი მცხოვრებია, არის 18 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც 81.400 სტუდენტი სწავლობს. ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა როცა გაიგო, რომ საქართველოს ფართობი 70.000 კვადრატული კილომეტრია, იქვე გამოიანგარიშა, რომ კვადრატულ კილომეტრზე ერთ სტუდენტზე მეტი მოდის, ჩანს, იგი კონკრეტულ აზროვნებას არის მიჩვეული...

საქართველოს წელს თავისი საქონელი გააქვს 64 ქვეყანაში. ეს ნათლად ჩანს მსოფლიოს კარგად გაფორმებულ რუკაზე.

რესპუბლიკას, რომელსაც წინათ ძირითადად ნედლეული გაჰქონდა, ახლა გააქვს მეტალურგიული მრეწველობის პროდუქცია, ჩარხები, კვების პროდუქტები.

სახლეკარგარეთ დიდი მოთხოვნაა ქართული მანგანუმზე, მილების ნაგლინზე, ხალხურ ოსტატთა ნამუშევრებზე.

ალჟირში საქმიან ინტერესს გამოიწვევს ელექტრო და დიზელის ამძრავიანი არტეზიული ჭების ტუმბოები, უნივერსალური ჩარხები, ჰიდრომეტეოროლოგიური მოწყობილობა, რომელსაც უკვე მსოფლიოს 57 ქვეყანა ყიდულობს, და საქართველოს სს რესპუბლიკაში წარმოებული სხვა საქონელი.

ალჟირელებს შეიძლება შეშურდეთ კიდეც ქართული ღვინოები, რომლებიც ასე უხვად და ლამაზად არის წარმოდგენილი პავილიონებში. ყურძნის ღვინის ექსპორტ

რაიკომი და მისი დადგენილება

როგორ ვახდენთ შესრულების შემოწმებას

ადამიანთა შემოწმება, საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება მნიშვნელოვანი ლენინური მოთხოვნაა. ეს მუდამ ახსოვთ პარტიის თერჯოლის რაიკომს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც შესრულების კარგად დაუენებულ შემოწმებაში ხედავენ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელების, კადრების მაღალი პრინციპიულობისა და საქმიანობის სუფთა კეთილი აღზრდის საწინდარს.

შესრულების შემოწმების მდგომარეობა, უწინარეს ყოვლისა, ფასდება თვითეულ უბანზე საქმის ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით. ამიტომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების კონტროლის ფუნქციებს ახლა განსაკუთრებით დიდი როლი ეკუთვნის.

მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისა და კონტროლის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენების კარგ მაგალითს იძლევა სოფელ კვახჭირის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი აგრონომი ა. ყუფარაძე). აქ პარტიული ორგანიზაციის კრებებსა და ბიუროს სხდომებზე ხშირად განიხილავენ სამეურნეო, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის აქტუალურ საკითხებს. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ დასაწყისია. მთავარი ის არის, რომ პარტიბიურო უზრუნველყოფს მუდმივ კონტროლს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, დროულად განსაზღვრავს, თუ კიდევ რის გაკეთებაა საჭირო, ამაღლებს მომთხოვნელობას შემსრულებლებისადმი. დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი. ერთხანს კოლმეურნეობაში 30 ცენტნერით შემცირდა წველადობა წინა შესაბამის პერიოდთან შედარებით, საშუალოდ ერთ ძროხაზე წველადობის კლებამ კი 43 კილოგრამი შეადგინა. პარტბიურომ გადაწყვიტა ღრმად შეესწავლა ფერმაში შექმნილი მდგომარეობის მიზეზები. შემოწმებითი გამოიკვლევა, რომ მეცხოველეები არღვევდნენ შრომის დისციპლინას, მათ შორის არ იყო კოლეგიალური დამოკიდებულება. ფერმის გამგე გ. მამრიკაშვილი ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენდა მათდამი. საკითხი ღია პარტიული კრების მკაცრი მსჯელობის საგანი გახდა. კომუნისტები პირუთვნელად ლაპარაკობდნენ კონკრეტულ დამნაშავეებზე, სახადენენ ჩამორჩენის დაძლევის გზებს, მიუთითებდნენ რეზერვებზე.

საკითხის განხილვას მოჰყვა კარგი საქმიანი გადაწყვეტილება, რომლის შესრულებაზეც მუდმივი კონტროლი დაწესდა. არ გასულა დიდი დრო და მდგომარეობას გამოსწორება დაეტყო. წლის ბოლოსთვის კი კოლმეურნეობამ დიდი გადამეტებით შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსთვის მიყიდვის დავალებანი, ხოლო მებოსტნეობაში მიღწეული წარმატებებისათვის სოფელ კვახჭირის კოლმეურნეობა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გარდამავალი წითელი დროშითა და პირველი ფულადი პრემიით დააჯილდოვა.

ამ მხრივ აღსანიშნავია სოფელ თუზის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის ბიუროს (მდივანი აგრონომი ფ. სახეჩიძე) მუშაობაც. იგი შესრულების შემოწმებას განიხილავს, როგორც ცოცხალ შემოქმედებითს საქმეს და ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ კონტროლი სისტემატური და ქმედითი იყოს.

მოხსენებაში კონკრეტულად იყო დახასიათებული საქმის ვითარება ცალეული ბრიგადებისა და ნაკვეთების მიხედვით. როგორც აღინიშნა, ჩამორჩებოდა ვენახების, საძირე ვაზის სადეღის, თუთიხა და ხეხილის ბაღების დამუშავება. ნელი ტემპით მიმდინარეობდა ვაზის გადაწყვენა, ახალი ვენახებისა და ხეხილის ბაღების გაშენება. საკითხის განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს კომუნისტებმა მ. ბოჭორიშვილმა, ი. სახეჩიძემ, ლ. სახეჩიძემ, კ. მაჩიტიძემ, ი. სუთიძემ და სხვებმა. მათ მკაცრად გააკრიტიკეს მთელი რიგი ბრიგადების ხელმძღვანელები, რომელთა მოუქნელი მუშაობითაც გამოწვეული იყო ჩამორჩენა.

გადაწყვეტილების შესრულებისადმი ასეთი სერიოზული, პრინციპული დამოკიდებულების შედეგად კოლმეურნეობამ დროულად დაამთავრა საზამთრო სამუშაოები ვენახებში, სიმეჩხრის სალიკვიდაციოდ გადაავწვინა 16.500 ძირი ვაზი, გაამენა 10 ჰექტარი ახალი ვენახი და 3 ჰექტარი ხეხილის ბაღი.

ამ ორიოდე თვის წინათ სოფელ კვედა სიმონეთის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებამ განიხილა ერთწლიანი კულტურების დამუშავების თაობაზე პარტიული კრების მიერ მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი. პარტიულ კრებაზე კომუნისტებმა ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი გაუკეთეს ერთწლიანი კულტურების დამუშავების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზებს, შეიდეგ კი კომუნისტები, ყველა შრომელნი დარაზმეს მათ აღმოსაფხვრელად. შედეგი? — კვედასიმონეთელ კოლმეურნეებს გარანტირებული აქვთ სიმინდის მაღალი მოსავლის მიღება.

სოფელ თერჯოლის კოლმეურნეობა „განთიადი“ უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ყურძნისა და სიმინდის დაბალ მოსავალს იღებდა. პარტიული ორგანიზაცია და კოლმეურნეობის გამგეობა თანმიმდევრულად არ ახორციელებდნენ აგროტექნიკურ ღონისძიებებს ვენახებსა და სიმინდის ნათესებში. კომუნისტები მინდობილი საქმის შესრულებისათვის ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ. პარტბიუროს ახალმა შემადგენლობამ (მდივანი ნ. წერეთელი) ღრმა ანალიზი გაუკეთა შექმნილ მდგომარეობას, კომუნისტები გაანაწილა კოლმეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე. აქ სისტემატურად ისმენენ პარტბიუროს სხდომებსა და პარტიულ კრებებზე საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელთა და კომუნისტების თვითანგარიშებს. კარგად არის დაყენებული მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება და კონტროლი. ამიტომაც ახლა სოფელ თერჯოლის კოლმეურნეობა „განთიადი“ ვენახებისა და სიმინდის ნათესებზე საძრახისს ვერ ვიტყვით. განთიადელები საშუალოდ პექტარზე ვარაუდობენ 30-35 ცენტნერი სიმინდისა და 60 ცენტნერი ყურძნის მოღებას.

პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლი კარგად არის დაყენებული სოფლების ეწერის, ზედა საზანოს, გოდოგნის, ალისუბნის საკოლმეურნეო, ჩხარის იატაკის ფილების, თერჯოლის მექანიკური ქარხნების, თუზის, საზანოს, კვახჭირის საშუალო სკოლებისა და სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

ზედამხედველობა შესრულების შემოწმებაზე

პარტიის რაიკომს მტკიცე კონტროლი აქვს დაწესებული არა მარტო იმ მუშაკებზე, რომლებიც ჩამორჩნენ, უჭირთ დაკისრებული მოვალეობის შესრულება, არამედ ყველაზე, მათ შორის იმათზეც, რომლებიც კარგად მუშაობენ. ეს იმიტომ, რომ მათ არ შეანელონ თავიანთი თავისადმი მომთხოვნელობა, არ მოდუნდნენ, არ გაუყოყოჩდნენ. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი. სოფელ ნაგარევის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამს. ქასრაშვილმა წინა წლებთან შედარებით შეასრულა არტელისადმი ხელმძღვანელობა, რის გამოც მიმდინარე სამეურნეო წელს აქ შემცირდა ჩაის ფოთლისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

ამ ფაქტს პარტიის რაიკომი სათანადოდ გამოეხმაურა. მალე ნაგარევში მდგომარეობას გამოსწორება დაეტყო.

ამ რამდენიმე ხნის წინათ პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. პლენუმმა დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს უმოკლეს დროში აღმოფხვრან ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, გააუმჯობესონ პარტიულ-ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მასებში. დარაზმონ შრომელები საიუბილეო წელს რაიონის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის. ეს ამოცანები კი საკმაოდ სერიოზულია. წელს სახელმწიფოს უნდა მივიღოთ 10.000 ტონა ყურძენი, 1.000 ტონა რძე, 400 ტონა ხორცი, 600 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 1.450 ტონა ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

პარტიის რაიკომი ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესებით აამაღლებს პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობას. შესრულების სისტემატური შემოწმება და კონტროლი, მომთხოვნელობის გაძლიერება საშუალებას მოგვცემს პირნათლად შევასრულოთ ხუთწლედის მეორე წლის დავალებანი და ამით ჩვენი ნვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

ი. ყიფიანი,
საქართველოს კპ თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი.

საიუბილეო დღიური

50 საქართველოს სსრ

გალი. ვეტერანთა საბჭომ მოაწყო რევოლუციის ვეტერანთა მორიგი შეკრება. მოგონებებით გამოვიდნენ ძველი რევოლუციონერები ა. ჩაკაბერია, ა. გაბლაია, ა. ჩხვირკაია, ი. ძიგუა, ი. მელაია, კ. გვაჯავა, ი. იზორია, ი. შამათავა.

შეკრებამ აირჩია ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმია ახალი შემადგენლობა, რომელშიც შევიდნენ ძველი რევოლუციონერები მ. ცატავა, ი. ძიგუა, გ. ჩაჩიბაია, ა. შონია, დ. მოროზოვი, მ. ყოლბაია, ბ. გითოლენდია. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ა. დ. გაბლაია. შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა მ. ხვარეკიამ.

ხ. პაპასქუა.

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ხაჭართველოს კომკავშირის ძველი გვარდიის „სპარტაკელთა“ ნაკვალევზე! — ამ დევიზით მოეწყო ვეტერანთა კომკავშირელებისა და ქალაქის ახალგაზრდობის შეკრება-ლაშქრობა, რომელმაც სამ დღეს გასტანა.

პირველ [illegible] ახალგაზრდ[illegible] ვეტერან კომკავშირელებსა და ძველ ბოლშევიკებს, შეხვედრა გახსნა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. იმედაძემ. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ ვეტერანი კომკავშირელები: ხაჭართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი — „სპარტაკელი“ გ. კაკაბაძე, დ. დანგაძე და პერსონალური პენსიონერი მ. მარუაშვილი. ვეტერანებს მიესალმნენ სტუდენტი თ. ტყაბლაძე, სამკერვალო ფაბრიკის მუშა მ. მელაძე, პიონერი მ. კახიანი.

მეორე დღეს შეკრების მონაწილეებმა დაათვალიერეს ჟუთაისის რევოლუციური ადგილები და მუზეუმები, ხოლო მესამე დღეს „სპარტაკელთა“ ნაკვალევზე იმოგზაურეს მარშრუტით — ჟუთაისი, წულუკიძე, გეგეჭკორი, ცხაკაია, აბაშა, ჟუთაისი.

ეხინი გაეცნენ გამოჩენილი რევოლუციონერების მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებს.

ლიეთოფონის ქარხნის კულტურის სახლში მოეწყო ქარხნის მშრომელთა შეხვედრა სოციალისტური შრომის გმირებთან (იოსებ ხაზარაძე და ალექსანდრა გამყრელიძე), წარმოების მოწინავეებთან (ივანე თოდრია და ბიბეკო ფხაკაძე), შრომის ვეტერანებთან (ივანე კულეკი და ვარლამ ბაზაძე).

მოხსენებით „სსრ კავშირის მოქალაქეს აქვს შრომის უფლება“ გამოვიდა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ი. გოგოლაშვილი. ეს შეხვედრა მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისათვის მზადებას.

ზ. თარგამაძე.

ოქტომბრისადმი მიძღვნილი საუკეთესო სიმღერები

ფეჯამდა ლიდი ოქტომბრისადმი მიძღვნილ საუკეთესო ეოკალურ ნაწარმოებთა კონკურსის შედეგები. კომკურსი გამოაცხადა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა. ეიურის თავმჯდომარემ რესპუბლიკის სახალხო არტისტმა კომპოზიტორმა ა. ბუკიამ საქმდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— ეჭვს თვეს გრძელდებოდა ეს კომკურსი. კონკურსში მონაწილეობდნენ როგორც პროფესიონალები, ისე მოყვარული მუსიკოსები. საკონკურსო კომისიამ განიხილა სხვადასხვა ანრის 50-ზე მეტი ნამუშევარი: სიმღერები, დუეტები, საგუნდო ნაწარმოებები. კონკურსმა წარმოებები მიიპყრო თემატიკითაც. ყველა წარმოდგენილი მუსიკალური ნაწარმოები ეძღვნება ჩვენს თანამედროვეს, სამშობლოს, ოქტომბერს.

პირველი პრემია არავისთვის არ მიუნიჭებია. ორი მეორე პრემია მიიღეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **რ. ლაღიძემ** სიმღერისათვის „ლტოლვილი არაბი ბიჭის გოდება“ (ტექსტი **პ. ჭრუზინსკისა**) და თბილისის კონსერვატორიის სტუდენტმა **ი. კეპაუმაძემ** სიმღერისათვის „მეჩაიე გოგონას“ (ტექსტი **შ. ამირანაშვილისა**).

მესამე პრემიით აღინიშნა კომპოზიტორ **ი. ბობოხიძის** სიმღერა ლენინზე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ **მ. დავითაშვილის** „ჩემი სამშობლოს დიდა“ (ტექსტი **ა. კალანდაძისა**) და **რ. ლაღიძის** „ახალგაზრდული ვალსი“ (ტექსტი **ხ. ფაშალიშვილისა**).

კონკურსზე გამარჯვებული სიმღერები შესრულდება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საყოველთაო სახალხო ზეიმის დღეებში. (საქდესი).

როგორ ასრულებ ვალდებულებას?

საქალაქო პარტიული აქტივის კრებაზე

ბორი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). გაიმართა ბორის საქალაქო პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობის საკითხი.

აქტივის კრებაზე მოხსენებებით გამოვიდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე გ. დაბრუნდაშვილი და მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე კ. ქრისტესაშვილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ბორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ხინჩიკაშვილმა, საკონსერვო კომბინატის პარტბიუროს მდივანმა ჯ. ჭელიძემ, ქარხანა „გორახელსაწყოს“ დირექტორმა მ. ლაცაბიძემ, ბამბეულის კომბინატის მეორე საქსოვი ფაბრიკის მქსოველმა ზ. ფხალაძემ და სხვებმა.

ბორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ხინჩიკაშვილმა წლის ექვსი თვის შედეგების მიხედვით გამარჯვებული კოლექტივების — მექანიკური ქარხნის, ბორის № 2 სამშენებლო სამმართველოს, ბამბეულის კომბინატის № 2 სართავი ფაბრიკის, № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორისა და ბორის ბამბეულის კომბინატის მუშათა სასადილოს ხელმძღვანელებს გადასცა საქართველოს კპ ბორის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშები. დროშა გადაეცა აგრეთვე № 9 სამშენებლო ტრესტის საპირომკეთებლო სამმართველოს კოლექტივს სკოლებზე შეფობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიამ განიხილა ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებაში მგზავრთა მომსახურების მდგომარეობა. მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. აბაშიძემ. აღინიშნა, რომ ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამტრედიის განყოფილების სადგურებში მგზავრთა მომსახურება. განყოფილების კოლექტივს მიმდინარე წლის მეორე კვარტალის მაჩვენებლების წარმატებით შესრულებისათვის გადაეცა სსრ კავშირის გზათა სამინისტროს და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამასთანავე აღინიშნა, რომ მგზავრთა მომსახურების საქმეში სამტრედიის განყოფილებას ჯერ კიდევ აქვს არსებითი ნაკლოვანებანი. ზოგიერთ სამგზავრო სადგურში და ვაგონში ადგილი აქვს ანტისანიტარიას, საძინებელი ვაგონები ყოველთვის არაა უზრუნველყოფილი თეთრეულით, ყველგან არაა მოწყობილი დედათა და ბავშვთა ოთახები. ჯერ კიდევ გვხვდება გამცილებლების მიერ ზოგიერთი უბილეთო მგზავრის გადაყვანის შემთხვევები. სერიოზული ნაკლოვანებებია რკინიგზის რესტორანების მუშაობაში.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს კომისიის შეკრებმა დეპუტატებმა ზ. ბუცხრიკიძეს, ი. ქარუმიძემ, ს. სიხარულიძემ, ნ. ლაკიმ, ნ. ბერიძემ, სამტრედიის სამგზავრო განყოფილების უფროსმა ა. წიოლსანმა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსის მოადგილემ გ. კიკნაძემ, საგაგონო სამსახურის უფროსმა გ. ცქვიტინიძემ, საკვებმისანიტარული სამსახურის უფროსის მოადგილემ ზ. ციხაცაძემ, რკინიგზის რესტორანების ტრესტის მმართველმა ს. დონაძემ და სხვებმა.

განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ. (საქდესი).

ვიდრე რთველი გაჩაღდებოდეს

ჩვენი ინტერვიუ

ბაზეთ „კომუნისტის“ თანამშრომელი „სამტრესტის“ მმართველს ბ. თუშმალიშვილს ესაუბრა რთველისათვის ღვინის ქარხნების მზადყოფნისა და ქართული ღვინის ხარისხის ამაღლების საკითხებზე. ქვემოთ ვბეჭდავთ ამ საუბრის ჩანაწერს.

როგორ მოემზადნენ „სამტრესტის“ ღვინის ქარხნები საიუბილეო წლის უურძნის მოსავლის მიღებისა და გადამუშავებისათვის?

— კარგად ვიცით, რომ ქართული ღვინის ხარისხისათვის ბრძოლა უპირველეს ყოვლისა ვენახში იწყება. საღი და კარგად დამწიფებული ყურძნისაგან თავისი საქმის მოყვარე და მცოდნე მეღვინე შესანიშნავ ღვინოს დაამზადებს. მაგრამ ხშირად ხდება, რომ საზოგადოებრივი მეურნეობების ვენახებიდან ნაკლები შაქრიანობის შემცველი ყურძენი მოაქვთ. ეს თავისთავად, ჯერ ერთი, უარყოფითად მოქმედებს ქარხნის ნორმალურ მუშაობაზე, მეორეც, ნაკლებშაქრიანი ყურძნისაგან კარგ ღვინოს ვერ დავაყენებთ. ამით ზარალობს საზოგადოებრივი მეურნეობებიც, ღვინის ქარხნებიც და, რაც მთავარია, მომხმარებელიც.

ეს რომ არ მოხდეს, მინდა საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები, სპეციალისტები, მევენახეები აქედანვე გაგაფრთხილოთ, რომ დაბალი შაქრიანობის შემცველ ყურძენს ქარხანაში ნუ მოიტანენ. გარდა ამისა, საჭიროა დაცულ იქნას ქარხანაში ყურძნის მიტანის გრაფიკი. ეს თავიდან აგვაცილებს ტრანსპორტის მოცდენასა და დანაკარგებს. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩვენი ქარხნები თითქოს მზად არ იყოს ყურძნის მისაღებად. არა, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ რესპუბლიკაში არსებული ყურძნის 118 პირველადი გადამუშავების ობიექტი სავსებით მზად იყოს. ვიმეორებ, თუ საზოგადოებრივი მეურნეობები დაიცავენ ყურძნის კრეფის გრაფიკს, ღვინის ქარხნებთან რიგები არ იქნება.

წინა წლებში ხშირი იყო შემთხვევა, რომ ჭურჭელი არ იყო საჭირო რაოდენობით და ესეც აფერხებდა ყურძნის მიღება-გადამუშავებას. ამ მხრივ წელს რა ღონისძიებანი განახორციელეთ?

— მართალია, რესპუბლიკაში ყურძნის დამზადების გეგმა 210.000 ტონაა, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ მოსალოდნელია 240.000 ტონაზე მეტი ყურძნის დამზადება. ეს იძლევე გავითვალისწინეთ და ბევრი ღვინის ქარხანა გავაფართოეთ. მუკუზნის მეორე ქარხანას 7.000 ტონის ტევადობის ჭურჭელი შეემატა, ახმეტისას — 5.000 ტონის, წითელწყაროს — 2.600 ტონის, იყალთოს — 1.500 ტონის, სვირის — 2.000 ტონის ტევადობისა. ვარკეთილში ახალი ღვინის ქარხნის პირველი რიგი გაიხსნა. აქ წელს 2.000 ტონა ყურძენი გადამუშავდება. მნიშვნელოვნად გაფართოვდება ოგრეთვე კარდანახის, საგარეჯოს, ნაფარეულის, ყულარის ღვინის ქარხნები. აქ განხორციელდა საწნეხი განყოფილებების რეკონსტრუქცია. ამასთან შეძენილია 2 მილიონი დეკალიტრის ტევადობის რკინის ბომბონჭრებული ცისტერნები. ყურძნის შეუფერხებლად მიღების მიზნით ღვინის ქარხნებში დაიდგა 12 ახალი სასწორი.

სულ წელს რესპუბლიკაში 5 მილიონი დეკალიტრის ტევადობის სხვადასხვა სახის ჭურჭელი შეემატა ჩვენს ქარხნებს.

რა სიახლეები იქნება წელს ყურძნის მიღება-გადამუშავებაში?

— ყურძნის პირველადი გადამუშავების ქარხნებსა და მიმღებ პუნქტებში გაბურებული რთველის დროს ხშირად რიგები იმიტომ არის, რომ ყურძნის ჩაყრა ბუნკერებში ბრიმიტიულად ხდება. წელს ბევრ ქარხანაში დაინერგება სიაღლე. ყურძნის საზიდარი სპეციალური მოძინანჭრებული ძარების ავტომატური გაცლის მოწყობილობანი დამონტაჟდა ხარისის, ყვარლის, მუკუზნის პირველ და მეორე, გურჯაანის, წინანდლის, ქისტაურის, ელისცხოს და სხვა ქარხნებში. ყურძნის ჩასაყრელი ხვიმირები დამატებით დაიდგა ბადიაურის, კაჭრეთის, ყვარლის რაიონის ახალსოფლის, წითელწყაროს, ელისცხოს, ხარისის, ტიბაანის, მაღაროს და სხვა ღვინის ქარხნებში.

ადრე შაქრიანობის პროცენტის დასადგენად ყურძნის სინჯის აღება ხელით წარმოებდა. ეს პრიმიტიული ხერხი შეცვლილ იქნა ახალი მოწყობილობით. გურჯაანის, კაჭრეთის, ნაფარეულის, ხარისის, მუკუზნის და სხვა ქარხნებში წელს შაქრიანობის პროცენტს ზუსტად და მოკლე დროში განსაზღვრავს ავტომატური მოწყობილობა, რომელიც ქ. გორშია დამზადებული.

— რომელი რაიონების ღვინის ქარხნები უფრო კარგად მოემზადნენ ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის?

— პირველ რიგში უნდა დავასახელოთ თელავის, ყვარლის, სიღნაღის, გურჯაანის, თერჯოლის, ცაგერის, სარეხრის, გორის, მცხეთის რაიონები. ამ რაიონების ღვინის ქარხნების სპეციალისტებისა და მუშების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რთველის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე ყველა ღვინის ქარხანაში მანქანა-დანადგარები, ჭურჭელი სავსებით გამზადებული იყო, ეერც სხვა რაიონებს დავემდურებით, წინა წლებთან შედარებით ყველგან კარგად მოემზადნენ.

საიუბილეო წელს მომხმარებელი რა სახის ახალ ღვინოებს მიიღებს?

— წელს მშრომელები დიდი რაოდენობით მიიღებენ სხვადასხვა სამარკო და ორდინარულ ღვინოებს. „სამტრესტის“ მუშაკებმა და სპეციალისტებმა ძალლონე და გამოცდილება არ დაიშურეს, რომ ქართული ღვინის ხარისხი კიდევ უფრო ამაღლებულიყო. გამოვა საკოლექციო ღვინოები „წინანდალი“ და „ნაფარეული“ 1930-1932 წლის მოსავლისაგან.

რაც შეეხება ახალ ღვინოებს, უნდა ვთქვა, რომ „ბახტრიონი“, „ციცქა“, „ყვავილი“ და „თელავი“ ახალი ღვინოებია, რომლებსაც ჩვენი მშრომელები წელს საკმაო რაოდენობით მიიღებენ.

მინდა აღვნიშნო, რომ წელს ჩვენი მშრომელები მიიღებენ აგრეთვე შუშხუნა-ცქრიალა თეთრ და წითელ ღვინოებს. საიუბილეოდ გამოშვებულ იქნება 50 წლის ასაკის კონიაკი „საიუბილეო“.

ჩვენი ღვინოები წელს მონაწილეობას მიიღებენ ლაიპციგის საერთაშორისო ბაზრობასა და ჩეხოსლოვაკიაში ღვინოების კონკურსზე. აქ გაიგზავნა „წინანდალი“, „გურჯაანი“, „კარდანახი“, „თელიანი“, „ნაფარეული“, „მუკუზანი“, „ქინძმარაული“, „ხვანჭკარა“, „უსახელაური“, „ახაშენი“ და კონიაკები — „გრემი“, „ვარციხე“, „თბილისი“, „ენისელი“.

ქართული ღვინების ხარისხი მომავალში რომ უფრო ამაღლდეს, ჩვენ ამთავითვე ყურძნის მიღება - გადამუშავებიდანვე ვიწყებთ ზრუნვას, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს მეზრეების ხელშეწყობით ეს საკითხი უფუოდ დადებითად იქნება გადაწყვეტილი. ჩვენი ვალია მშრომელთა სუფრას მივაწოდოთ შესანიშნავი, ათომატული ღვინოები.

ბათუმის ქარხანა „ელექტროხელსაწყოში“ წელს დაამონტაჟეს მინანქრის იზოლაციის მოსახსნელი ახალი მანქანა, რომელმაც რამდენიმე მუშა შეცვალა. სურათზე (მარცხნიდან): ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე კ. მეტრეველი, საამწყობო ხაამქროს ცვლის ოსტატი ნ. ვახტანგაძე და მოწინავე მუშა ს. ავეტისიანი ამოწმებენ ახალ მანქანაზე დამზადებული პროდუქციის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ცისარგყელა დახლებზე

ბოსტნეულისა და ხილის ნაკადი თბილისისა და რუსთავის მშრომელებს

მინდვრებში, ბოსტნებში, ბაღჩებში, მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც რკალად შემორტყმია თბილისსა და რუსთავს, გაჩაღებულია მოსავლის აღება. გარდაბნის, მარნეულის, მცხეთისა და სხვა რაიონების მიწათმოქმედთა შრომისმოყვარე ხელით მოწეული ბოსტნეული პროდუქცია, საზამთრო, ნესვი, ხილი, ყურძენი იგზავნება სავაჭრო ქსელსა და გადასამუშავებელ ქარხნებში.

ეწვიეთ „თბილხილბოსტანვაჭრობის“ მაღაზიებს. წითელი პომიდორი და ლილისფერი ბადრიჯანი, ნარინჯისფერი სტაფილო და ხასხასა მწვანე სუფრის მწვანილი ახარებს თვალს და თავისებურ ცისარტყელას ქმნის დახლებზე.

წელს სახელოვნად იშრომეს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მებოსტნეებმა. დადგნენ რა საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე. მათ საპატიო ვალდებულება იკისრეს. 45 ათასი ტონა ბოსტნეული — ასეთია სახელმწიფოს გეგმა-შეკვეთა. და იგი წარმატებით ხორციელდება. თავიანთი წლიური დავალება უკვე შეასრულეს რუსსბოლოს, გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის, გარდაბნის ს. კიროვის სახელობის მერძევეობა-მებოსტნეობის, ახალი სამგორის, გაჩიანის, ყაჩაღნისა და არახლოს საბჭოთა მეურნეობებმა. ამ მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს საიუბილეო დღეებისათვის გეგმის გადაჭარბებით გაყიდონ ოთხიათასი ტონა ბოსტნეული.

250 ტონა ბოსტნეული და კარტოფილი, 14 ტონა სუზამორო, 30 ტონა ატამი, მსხალი, ვაშლი, ქლიავი, ვაუგზავნეს 5 სმეტემბერს თბილისსა და რუსთავს გარეუბნების საბჭოთა მეურნეობებმა. ეს დღე არაფრით არ განსხვავდება მთელი რიგი სხვა დღეებისაგან: სწორედ ამდენი ახალი პროდუქცია შემოაქვთ ყოველდღიურად. უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში მაღაზიებმა მიიღეს 600 ტონა პომიდორი და 40 ტონა საადრეო ყურძენი. საბჭოთა მეურნეობების მიერ ბოსტნეულის ჩაბარების გრაფიკს აკონტროლებს პარტიის რაიონული კომიტეტი.

წელს პროდუქცია დიდი ხნით არ ჩერდება ბაზებში. შემოღებულია პროდუქციის შემოზიდვის ახალი სისტემა. 100-150 სატვირთო ავტომანქანა ყოველ დილით მიდის უშუალოდ საბჭოთა მეურნეობების განყოფილებებში, სადაც ტვირთავენ ასლადდაკრეფილ ხილს, ბოსტნეულს, მწვანილს.

ხილბოსტნეულის მაღაზიების ფართო ქსელი წარმატებით უწევს კონკურენციას საკოლმეურნეო ბაზრებს არა მარტო საქონლის ხარისხით, არამედ ღირებულებითაც. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია თვალი მოვავლოთ თბილისისა და რუსთავის ბაზრებში „თბილხილბოსტანვაჭრობის“ მაღაზიების ვაჭრობას.

შემოდგომაზე დიასახლისები იმარაგებენ პროდუქტებს. „თბილხილბოსტანვაჭრობამ“ გაითვალისწინა ეს და მოაწყო პომიდორის შინ მიტანა ტომატის მოსახარშად. დაიხსომეთ ტელეფონის ნომრები, რომლითაც შეგიძლიათ შეუკვეთოთ პომიდორი: 4-13-56, 4-21-37, 4-19,83. ანალოგიური სამსახური მოაწყო აგრეთვე დიღმის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის საფირმო მაღაზიამ. დარეკეთ: 9-71-90. (საქდესი).

ეპეპთა საზღვაო ვაჭრობა

ტრადიცია გრძელდება!

ხარაგაულის მიწას მარტო სერგო ორჯონიკიძე რომ მოეცა, ისიც ეყოფოდა მის თანამემამულეებს საამაყოდ და სასიქადულოდ. დიდი ლენინის უახლოესი მოწაფე და ერთგული თანამებრძოლი, გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე და ოქტომბრის გმირი, საბჭოთა ინდუსტრიის სარდალი — ასე იცნობენ საბჭოთა ადამიანები გ. კ. ორჯონიკიძეს. დღეს სერგოს სახელს ატარებს მისი მშობლიური ხარაგაულის რაიონი.

მაგრამ განა მარტო სერგო? აქაურმა ბუნებამ დაბადა უშიშარი რევოლუციონერები სამუელ ბუაჩიძე, ლუკიანე თაბუკაშვილი, ნიკო კიკნაძე, რომლებსაც პირადად იცნობდა ვლადიმერ ილიას-ძე; გამოჩენილ

ფიქრთა მპყრობელია ახალი სამყაროს აღმიანი

ახალი ამბების საბაგენტოს საერთაშორისო ანკეტა

ახალი ამბების საბაგენტო საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავთან დაკავშირებით საერთაშორისო ანკეტას აწყობს. ბევრი ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებისა და პროფესიის ადამიანებს წინადადება მიგცათ ეპასუხნათ ოთხ კითხვაზე:

— როგორია, თქვენი აზრით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობა მსოფლიოს ბედისათვის, თქვენი ქვეყნისათვის?

— პირველად როდის გაეცანით ვ. ი. ლენინის შრომებს და რა გავლენა მოახდინეს მათ თქვენი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე?

— გთხოვთ გვიამბოთ იმ ადამიანებზე, წიგნებსა და გაზეთებზე, რომლებიც დაგეხმარნენ და გეხმარებიან შეიტყოთ სიმართლე საბჭოთა კავშირის წარმატებებზე ეკონომიკაში, კულტურაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში?

— ყოფილხართ თუ არა საბჭოთა კავშირში და იქ ნახულიდან რამ მოახდინა ძლიერი შთაბეჭდილება თქვენზე?

მოგვყავს ახალი ამბების საბაგენტოს საერთაშორისო ანკეტაზე მიღებული ზოგიერთი პასუხი.

ჩან ან ვინი

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის შუახტების განყოფილების უფროსი

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ფართოდ გააღო კარი სოციალიზმისა და კომუნიზმის სამყაროში, უჩვენა კაცობრიობას ახალი ცხოვრების გზა. ვიეტნამელი ხალხისათვის საბჭოთა ქვეყანა დიად მაგალითს წარმოადგენს. ჩვენი 1945 წლის აგვისტოს რევოლუცია მხოლოდ 1917 წლის ოქტომბრის მეოხებით გახდა შესაძლებელი.

არცერთ წიგნს არ ძალუძს მთლიანად გვიამბოს საბჭოთა კავშირის მიღწევებზე ყველა დარგში. სსრ კავშირის ცხოვრება საკუთარი თვალით უნდა ნახო, და მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთი შესაძლებლობა მქონდა. თქვენი წარმატებანი განსაცვიფრებელია!

ყველა საბჭოთა ადამიანი, ვისაც კი შევხვედრივარ, გულისწყრომას გამოთქვამდა ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, სოლიდარობას უცხადებდა ვიეტნამის მებრძოლ ხალხს.

ედუარდო ვიერა

ურუგვაელი ჟურნალისტი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად ისტორიაში პირველად შეიქმნა სახელმწიფო, რომლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი იყო და არის მშვიდობის შენარჩუნება და დაცვა, ხალხთა შორის შეგობრობა.

საბჭოთა კავშირის სამხედრო და ეკონომიური ძლიერება, მშვიდობის და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების პოლიტიკა ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც გზას უღობავენ ომთ, ეისაც სურს მესამე მსოფლიო ომი გაარღვიოს. მშვიდობისა და თავისუფლების დაცვის ამ პოლიტიკის ლოგიკური განვითარება გახდა ის ყოველმხრივი დახმარება, რასაც სსრ კავშირი უწევს ამერიკელი აგრესორების წინააღმდეგ მებრძოლ ვიეტნამის ხალხს.

მე ბევრჯერ ვყოფილვარ საბჭოთა კავშირში. რამ მოახდინა ჩემზე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება? საბჭოთა ადამიანმა.

პეტერ ვერეში

უნგრელი მწერალი

რუსა „ავრორას“ გასროლამ გვაუწყა, რომ დაიწყო ახალი ერა, მე, ავსტრია-უნგრეთის არმიის ჯარისკაცი, ფრონტისაკენ მივდიოდი. გაზეთები იშვიათად ჩამივარდებოდა ხელში, წიგნებს საერთოდ. ვერ ვხედავდი. მაგრამ ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის ბელადის მესახეს ძალიან მალე შევიტყე. მისი სახელის გაცნობის შემდეგ კი გავეცანი მის ნაშრომებსაც, მის მოძღვრებას. მარქსიზმ-ლენინიზმი და ოქტომბრის რევოლუციური იდეები ერთბაშად აკიდეს. ისინი ხომ მიმართულია უბრალო ადამიანებისადმი — მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცებისადმი.

ვფიქრობ, რომ მე, ყოფილმა უნგრელმა მიწისმთხრელმა, მხოლოდ იმიტომ შევძელი გავმხდარიყავი მწერალი, რომ 1917 წელს რუსეთში რევოლუცია მოხდა.

პაოლო როგოტი

იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი

ფიალად მხვდა ბედნიერება 15 წლის განმავლობაში ვყოფილიყავი საბჭოთა ქვეყანაში, საბჭოთა მშრომელებთან ერთად მემუშავნა საწარმოებში. ჩემთვის ეს საუკეთესო პრაქტიკა იყო, ვინაიდან შემდეგში შევძელი მემახსოვრებინა ჩემი თანამშამშულეებისათვის კრებებსა და კონფერენციებზე, სიმართლე საბჭოების ქვეყნის მშვიდობიანი დროისა და ომიანობის დროის ცხოვრებაზე, დამეწერა ამაზე ორი წიგნი და რამდენიმე ბროშურა. მართალია, ეს ყოველთვის როდი მოსწონდათ (და ეს ბუნებრივიც არის) ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ობივატელებს და ზოგიერთ მომმარცხენო ელემენტებს, რომლებმაც თავი წარმოიდგინეს იმის მცოდნედ, თუ როგორ უნდა აშენონ საბჭოთა ადამიანებმა სოციალიზმი.

ბევრი საბჭოთა წიგნი, რომლებიც მე წავიკითხე, დამეხმარა იმაში, რომ გამეფართოებინა და გამეღრმავებინა თეორიული ცოდნა. მაგრამ ყველაზე ნათელი და მტკიცე წარმოდგენა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრებზე, საბჭოთა სინამდვილეზე მივიღე მაშინ, როცა ვცხოვრობდი და ვმუშაობდი თვით საბჭოთა ადამიანებს შორის.

შეკ ჰასან აბდულე

სომალის ნავსადგურის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარე

საბჭოთა კავშირმა მთელი თავისი ორმოცდაათი წლის გამოცდილებით დაამტკიცა, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ეპოქას კაცობრიობის ისტორიაში. საბჭოების ქვეყანამ დაგვანახვა ჩვენ, ყოფილ კოლონიურ ქვეყნებს, რის მიღწევა შეუძლიათ ხალხებს.

ჩვენ, სომალელმა მშრომელებმა, ვიცით, რა ეშმაკრიტად კოლონიალურ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა ხალხმა შედარებით მოკლე ისტორიული დროის მანძილზე კეკონომიკს, კულტურის, მეცნიერების განვითარებაში, აგრეთვე სოციალურ დარგებში. საბჭოთა ადამიანები თავიანთი გმირული შრომის ნაყოფს იმეიან, აკაბამენ თავიანთი სახელმწიფოს ორმოცდაათი წლის არსებობის შესახსენებელ შედეგებს.

ახლა მსოფლიოში არავის აღარ ეეჭვება საბჭოთა კავშირის გრანდიოზული მიღწევები. და ექსპლოატატორებს დასავლეთში აღარ ძალუძთ დაგვიმალონ ჩვენ, აფრიკელებს, ეს მიღწევები .

ამაგე დროს ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რა მძიმე პირობებში ცხოვრობენ მშრომელები კაპიტალის ქვეყნებში. ჩვენ გვესმის, რომ მდიდრები მუშათა კლასის არაადამიანური ექსპლოატაციის გზით შეძენილ თავიანთ ფინანსურ კაპიტალს ინვესტირებენ, რომ მშრომელ ხალხს წაართვან მისი ელემენტარული უფლებები, გასაკვირველი როდია, რომ ამ ქვეყნების მუშები ყოველდღიურად ეწევიან გაფფთრებულ პოლიტიკურ ბრძოლას თავიანთი უფლებებისათვის .

მინდა ყველა სომალელ მშრომელთა სახელით საბჭოთა ადამიანებს მათს სახელოვან საიუბილეო წელს გადავცე უზენაესი სალამი და ვუსურვო ახალი წარმატებანი.

...ქარავანი კი წინ ვიდის

ჟურნალისტის თვალით

...ქარავანი კი წინ ვიდის

ოქტომბერი და ჩვენი პლანეტა

IმპერიალისტურI პროპაგანდა, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, წელებზე ფეხს იდგამს იმის მტკიცებაზე, რომ კაცობრიობის განვითარების ბალანსი თითქოს უარყოფს მეცნიერული სოციალიზმის ცხოველმყოფელობას.

ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდაათი წლის მოახლოებამ ასეთი პროპაგანდა განსაკუთრებით ინტენსიური გახადა. დღეღამ მუშაობს უზარმაზარი და ნაკმაოდ ძლიერი პროპაგანდისტული მანქანა. ჟვეყანას აყრუებს რადიო, ტელევიზია, ინო. იაფფასიანი წიგნებით, სპეციალიზებული ვიიმეცნიერული „გამოკვლევებით“ ათეული წიგნის ბაზარი.

დაიძრა პროპაგანდისტების, პუბლიცისტების, სოციოლოგების, ეურნალისტების მთელი ლაშქარი. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფედერაციულ გერმანიაში, ინგლისში და დასავლეთ სამყაროს სხვა სახელმწიფოებში გააასკეცეს მუშაობა ე. წ. „სოციოლოგიის ცენტრებმა“. იბეჭდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, აგრეთვე თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების ფალსიფიცირებული ისტორიები. ისინი ნემსის ყუნწში ძვრებიან და ცდილობენ გზაკვალი აუბნიონ თავიანთ სამყაროს მილიონობით ადამიანს. ამ მაკულატურას ავრცელებენ აზიის, აფრიკის ქვეყნებში.

დეზინფორმაციის, დეზორიენტაციის ძლვრიე ტალღები ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან ეკახებიან უცხოეთში ადამიანთა ბედნეობას, რომელნიც არ იცნობენ ჩვენს ქვეყანას. მათი ნაქები „დემოკრატიის“ პირობებში არსაიდან არ ისმის ხმა სიმართლისა და ჭეშმარიტებისა. ამ ბინძურ საქმიანობაზე იხარჯება მილიარდობით დოლარი.

ჩვენც ნახირ-ნახირო — ბობოლა იმპერიალისტურ ნამუსგაცლილ იდეოლოგებს ხმას აწევენ სხვადასხვა ჯურის ტროგლოდიტები — ემიგრანტები, ფაშიები, ერთი ლუკმა ხმელი პურის ნატეხისათვის მზად რომ არიან ილაყბონ სხვისგან ნაკარნახევი ფანტასტიკური სიცრუეები.

ხაინტერესოა, ვისთვის არის გამიზნული ასეთი მასშტაბების ანტისაბჭოთა ისტერია?

მათ ეშინიათ ჩვენი იდეებისა, ჩვენი გამოცდილებისა, მათ იციან, რომ მშრომელი კაცობრიობა სიმპათიითა და იმედით შემოგვყურებს. და სწორედ აქ მარნია ძაღლის თავი.

ძველი ბერძნები იტყოდნენ, ღმერთი ზეუსი თუ ვისმეს აღარ სწყალობს და ოჯავრდები, გონებას ართმევსო. ეტყობა იმპერიალისტების თეორიულ ტაკიმასარებს აზროვნების ღმერთი აღარ სწყალობს, თორემ როგორ დაუჩნენდნენ ამრიგად გონებაზე და წაერთმეოდათ ელემენტარული ლოგიკური აზროვნების უნარი. თუმცა ბერძენთა არარსებული ღმერთი აქ რა მოსაგონია. იქაური პროპაგანდისტები ხომ წარმართები არიან და ოქრის ვერცხლ ეთაყვანებიან.

ბოდა, დავუბრუნდეთ ბალანსს. ბალანსი, ვიწრო მნიშვნელობით სტატისტიკურ-უფიანალტრული ცნებაა. მაშ ვნახოთ, რა-ოორია სინამდვილეში ისტორიის ბალანსი. ამ პატარა სტატიაში ჩვენ საჭირო და ეამიწურავ ცნობებს ვერ მივაწვდით ეკითხველს საბჭოთა ხალხის გრანდიოზული, ისტორიული მნიშვნელობის წარმატებებზე. მაგრამ სრულ სტატისტიკურ ცნობებში ჭეშმარიტად ისმის ახალი სოციალური წყობის გამარჯვების სიმფონია. აქ კი ორიოდე ცნობას მოვიყვანთ, ოდაც ნათლად გამოსჭვივის ჩვენი მიღწევების მთელი სპექტრი.

1913 წელთან შედარებით 1966 წელს ეროვნული შემოსავალი ჩვენში 34-ჯერ გაიზარდა. ეს იმ პირობებში, როცა მოსახლეობა დაახლოებით მხოლოდ ერთიორად გაიზარდა. დროის ამავე მონაკვეთში მრეწველობის მთელმა პროდუქციამ 66-ჯერ იმატა. ამ 50 წლის მანძილზე ჩვენი სახალხო მეურნეობა კაპიტალიზმისათვის მიუღწეველი ტემპებით ვითარდებოდა. 1918 წლიდან 1966 წლის ჩათვლით საბრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური მაგება საბჭოთა კავშირში 10 პროცენტს უდრიდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი 3,7 პროცენტს. ინგლისში 2,1 პროცენტს, საფრანგეთში 3,7 პროცენტს.

უფრო მაღალი ტემპები იყო ფედერაციულ გერმანიასა და იაპონიაში, მაგრამ ბონის რაიხი ამერიკელებისა და ინგლისელებისაგან უზარმაზარ მატერიალურ დახმარებას იღებდა და ომის პირველ წლებში არაფერს ხარჯავდა ჩვეულებრივ და ატომურ შეიარაღებაზე. იაპონია კი ახლაც შედარებით ცოტას ხარჯავს შეიარაღებაზე. ჩვენი ქვეყანა კი იძულებული და ვალდებულია თავისი ეროვნული შემოსავლის გარკვეული ნაწილი ხარჯოს სოციალისტური სამყაროს თავდაცვაუნარიანობის განმტკიცებისათვის, მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის. მიუხედავად ამისა, **ჩვენი ქვეყანა ახლა იმდენ სამრეწველო პროდუქციას აწარმოებს, რამდენსაც აწარმოებენ დასავლეთ ევროპის განვითარებული სახელმწიფოები, ისიც ერთად აღებული.**

ასეთი ეკონომიური „ხასწაული“ მოხდა იმ ქვეყანაში, რომელიც ამ ნახევარი საუკუნის წინათ ერთ-ერთი ჩამორჩენილი სახელმწიფო იყო.

1921 წელს რუსეთის წილი მსოფლიო სამრეწველო პროდუქციაში არ აღემატებოდა 1 პროცენტს. ახლა კი ჩვენ ვაწარმოებთ მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის **ერთ მეხუთედს.** ისიც არ უნდა დავიივიწყოთ, რომ ძველ რუსეთს ჩამოშორდა სამრეწველო განვითარების დონით ისეთი ქვეყნები, როგორიც იყვნენ ფინეთი და პოლონეთი. რასაკვირველია, ამ ორი ქვეყნის პროდუქციის ოდენობა არ არის ნაინგარიშევი, როდესაც აღნუსხავენ საბჭოთა კავშირის ხელთრთოს წონას მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციაში.

საბჭოთა კავშირმა ასეთ წარმატებას მიაღწია ურთულეს პირობებში. რომლებიც გამოიწვია სამოქალაქო ომმა, ინტერვენციამ, მეორე მსოფლიო ომის ნგრევამ.

სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მეორე მსოფლიო ომში ჩვენ დავკარგეთ 20 მილიონი ადამიანი. კაპიტალისტურ სამყაროს, თუ მას მთლიანად ავიღებთ, ამდენიც კი არ დაუკარგავს, ამერიკის შეერთებულ შტატებს კი ბრძოლის ველზე უფრო ნაკლები კაცი დაეღუპა, ვიდრე მთ ქვეყანაში საავტომობილო კატასტროფებში **1941-1945 წწ.** მანძილზე.

მოსახლეობის ზრდის მინიმალურ ბუნებრივ ზრდას თუ გავითვალისწინებთ, რასაკვირველია, საკვდილიანობის ნორმალურ, საშუალო პირობებში, **ეს 20 მილიონი,** ომისშემდგომ წლებში, მინიმუმ ერთიორად იმატებდა. ის საშინელი ომი რომ არა, სხვა ეკონომიურ მონაცემებზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენი მოსახლეობა ახლა სულ ნაკლები სამას მილიონს მიუახლოვდებოდა.

ეკონომიური ვითარება, დემოგრაფიული მონაცემები ცხოვრების ერთ ნაწილს ალნიშნავენ. სხვაც გავიხსენოთ. ჩვენი ქვეყნის **უჩვეულო კულტურული ზრდა,** ხალხის ინტელექტუალური დონის ამაღლება, ხალხის ფართო მასების აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეროვნული ურთიერთობის სოციალისტური გარდაქმნა, რამაც უზრუნველყო ყველა ერის, ხალხების ეროვნული ენერგიის აღორძინება, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავება და განმტკიცება. ინტერნაციონალიზმის გრძნობის და შეგრძნების გაბატონება. ყოველივე ამან უზრუნველყო საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმის ურყევობა და სტაბილობა. 50 წლის მანძილზე ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოს არც ერთი ომი არ წამოუწყია, ის მხოლოდ თავს იცავდა. სოციალისტური სამყარო მსოფლიო მშვიდობის ბურჯი გახდა.

შევადაროთ ეს ვითარება, რომელსაც სოციალისტურ სამყაროში აქვს ადგილი, იმ მდგომარეობას, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში სუფევს.

ახლა ამერიკას სახელმწიფოს შიგნით გამოუცხადებელი სამოქალაქო ომი აქვს. სხვა რა დავარქვათ ზანგების მასობრივ აჯანყებას, რომლის ჩაქრობაში მონაწილეობდა რეგულარული ჯარი. ომი ვიეტნამში, მანამდე კი ომი კორეაში, დაუცხრომელი ინტრიგები ლათინურ ამერიკაში, აგრესორთა ნაქეზება მსოფლიოს მრავალ კუთხეში, რეაქციულ რეჟიმების მხარდაჭერა და ა. შ. აქ არას ვამბობ ფაშისტური გერმანიის ისტორიაზე, რომელიც თავისთავად მეტყველებს, თუ რას ნიშნავს იმპერიალიზმი, კაპიტალიზმი.

ასეთია რეალური და არა ფალსიფიცირებული ბალანსი ისტორიისა ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

ამას წინათ პენსილვანიის უნივერსიტეტის ერთ მეტად ცნობილ პროფესორთან ვმკოდა საუბარი. სხვათა შორის, მას რომ ეს ციფრები და ცნობები შევახსენე, იქვე ეკითხა, „ნუთუ თქვენი სოციოლოგები, ეკონომისტები, რომელნიც სისტემატურად, წლების მანძილზე სწავლობენ საბჭოთა საზოგადოებას, არ იცნობენ ამ უბრალო მონაცემებს, რომლებიც ჩვენ პრესაში ქვეყნდება?“, იგი დაფიქრდა და მიპასუხა, „როგორ თუ არ იცნობენ. მაგრამ ეს ციფრები რომ გამოაქვეყნონ, რაღად ეღირება ჩვენი პროპაგანდა?“

როგორც ეტყობა, პოლიტიკურ ცნობებს საზღვარი არა აქვს!

კომუნიზმისაკენ წინსვლაში საბჭოთა ხალხს, რასაკვირველია, დროდადრო ჩრდილ ეშლება ახალ-ახალი სიძნელეები. დედამიწა, ადამიანთა ცხოვრება ურთიერთ ფენომენია. ამ უსრულო ოკეანეში ბობოქრობენ უზარმაზარი ფეთქადი ძალის ენერგია. მათ შორის ყველაზე ძლიერი — პოლიტიკური ენერგია.

ოქტომბრის რევოლუციამ გამოაღვიძა ასობით მილიონი ადამიანი ხალათას ძილისაგან. ადამიანი ამოქმედდა, ალაპარაკდა, დაფიქრდა დიდ საკითხებზე. დროდადრო პლანეტის ამა თუ იმ კუთხეში მიწა იძვრის. ჩვენი სამყარო ძლიერად მოქმედი ვულკანია, ფუძე ეცლება ძველ სამყაროს. ახალი სამყარო მძიმე პირობებში იბადება. მის ბებია ქალებად ბნელეთისმოციქული ექიმბაშები ვერ გამოდგებიან. შელოცვების დრო ისტორიას ჩაბარდა. თანამედროვე ადამიანის ბედნიერება ის არის, რომ მის აწმყოსა და მომავალს განსაზღვრავენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით შეიარაღებული მეცნიერები, პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოღვაწეები.

მარქსიზმ-ლენინიზმის სიდიადე ხეორედ ის არის, რომ ჩვენი მოძღვრება არასოდეს არ აუბრალოებს ცხოვრებას, ხედავს მის ურთულეს კოლიზიებს ახალ ვითარებაში და ეძიებს განვითარების ახალ გზებს. ჩვენი მოძღვრება ის კომპასია, რომელიც ცხოვრების მღელვარე უსრულო ზღვაში გვიჩვენებს სწორ გზას, სწორ მიმართულებას.

ჩვენ მივდივართ იმ გზით, რომელიც ამ ნახევარი საუკუნის წინათ ავირჩიეთ. ეს გზა ია-ვარდი როდი იყო მოფენილი. ასეც რომ ყოფილიყო, ვარდიც ხომ ეკლიანია. ამ გზაზე ჩვენ ერთი შეხედვით აუღებელი ციდებიც გვხვდებოდა და თითქოს გადაულახავი ხეობებიც. ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ დავძლიეთ მთავარი სიძნელეები და შეუკავებლად მივდივართ წინ — კომუნიზმისაკენ.

ამ სამყაროდან ისმის ყეფა. ის ყეფა ისტორიის ქარიშხალში ქრება და იკარგება, ჩვენი ქარავანი კი წინ მიდის!

ვლ. მაჭავარიანი.

თათბირი ბელგრადში

ბელგრადი, 5 სექტემბერი. (ხაკდესი). როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, გუშინ ბელგრადში გაიხსნა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა თათბირი არაბულ ქვეყნებთან ეკონომიური თანამშრომლობის საკითხზე. თათბირს ესწრებიან ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის დელეგაციები. ამ ქვეყნების დელეგაციებს მეთაურობენ მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეთა მოადგილეები. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს ვ. ნ. ნოვიკოვი.

თათბირი, რომელსაც კონსულტაციის ხასიათი აქვს, მუშაობას განაგრძობს.

გეოგრაფიულ სახელწოდებათა სტანდარტიზაცია

ჟენევა, 5 სექტემბერი. (ხაკდესი). ჟენევაში მუშაობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია გეოგრაფიულ სახელწოდებათა სტანდარტიზაციის საკითხებზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ 50-მდე ქვეყნის თვალსაჩინო გეოგრაფები, კარტოგრაფები და ლინგვისტები.

ამ კონფერენციის მოწვევას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური ხდება გეოგრაფიულ სახელწოდებათა სტანდარტიზაციის ამოცანა — როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით. დასახლებული პუნქტების, მდინარეების, კუნძულების, ნავსადგომების, მთების, იერიფორმებისა და სხვა ობიექტების სახელწოდებათა სხვადასხვანაირი წაკითხვა ზოგჯერ უხერხულობას და სირთულეებს იწვევს. გეოგრაფიულ სახელწოდებათა სტანდარტიზაციით დაინტერესებული არიან არა მარტო გეოგრაფები, არამედ აგრეთვე ყველა სახეობის ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სახელმწიფო დაწესებულებათა, განათლებისა და პრესის ორგანოთა მუშაკები.

ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობა

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოსახლეობამ 1967 წლის 1 ივლისისათვის შეადგინა 14.305.031, აქედან 6.981.460 მამაკაცია და 7.323.571 — ქალი. (ხაკდესი).

კინშასის სესიაზე

კინშასა, 5 სექტემბერი. (ხაკდესი). დღეს აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს სესიის პლენარულ სხდომაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დიალო ტელიმ, რომელმაც განაცხადა, რომ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის საქმიანობა ამ ბოლო თვეებში მიმდინარეობს „აფრიკის კონტინენტზე წამოჭრილი სიძნელეების, მღელვარებისა და ტრაგიკული ამბების“ პირობებში.

ყოველივე ეს, თქვა მან, ხელს უშლის აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციას ასრულებდეს თავის როლს. დიალო ტელიმ იმედი გამოთქვა, რომ ახლანდელი კონფერენცია ამ ორგანიზაციას აქცევს „აფრიკის ქვეყნების ერთობისა და აფრიკის წინაშე წამოჭრილი პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრის უფრო ეფექტიან საშუალებად“.

დიალო ტელის მოხსენების გამო გაბრთელ კამათში გამოვიდნენ ზამბიის, მალის, გვინეის, ზემო ვოლტის, სპილოს ძვლის ნაპირის, მაურიტანიის, რუანდის, განის, ალჟირის, კენიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და კონგოს დელეგაციათა მეთაურები.

შეეხო რა სესიის მუშაობას, აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის სამდივნოს წარმომადგენელმა მოჰამედ სახნუნმა პრეს-კონფერენციაზე თქვა, რომ

გაერთიანებული სამეფოს ელჩი ადენაუერთან

ბონი, 5 სექტემბერი. (ხაკდესი). ინგლისის ელჩი ბონში ალენ ბერი ადენაუერს ჩაბარებოდა ინგლისის ელჩობა ახალ-ახალი სიძნელეები. დედამიწა, ადამიანთა ცხოვრება ურთიერთ ფენომენია. ამ უსრულო ოკეანეში ბობოქრობენ უზარმაზარი ფეთქადი ძალის ენერგია. მათ შორის ყველაზე ძლიერი — პოლიტიკური ენერგია.

ოქტომბრის რევოლუციამ გამოაღვიძა ასობით მილიონი ადამიანი ხალათას ძილისაგან. ადამიანი ამოქმედდა, ალაპარაკდა, დაფიქრდა დიდ საკითხებზე. დროდადრო პლანეტის ამა თუ იმ კუთხეში მიწა იძვრის. ჩვენი სამყარო ძლიერად მოქმედი ვულკანია, ფუძე ეცლება ძველ სამყაროს. ახალი სამყარო მძიმე პირობებში იბადება. მის ბებია ქალებად ბნელეთისმოციქული ექიმბაშები ვერ გამოდგებიან. შელოცვების დრო ისტორიას ჩაბარდა. თანამედროვე ადამიანის ბედნიერება ის არის, რომ მის აწმყოსა და მომავალს განსაზღვრავენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით შეიარაღებული მეცნიერები, პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოღვაწეები.

მარქსიზმ-ლენინიზმის სიდიადე ხეორედ ის არის, რომ ჩვენი მოძღვრება არასოდეს არ აუბრალოებს ცხოვრებას, ხედავს მის ურთულეს კოლიზიებს ახალ ვითარებაში და ეძიებს განვითარების ახალ გზებს. ჩვენი მოძღვრება ის კომპასია, რომელიც ცხოვრების მღელვარე უსრულო ზღვაში გვიჩვენებს სწორ გზას, სწორ მიმართულებას.

ჩვენ მივდივართ იმ გზით, რომელიც ამ ნახევარი საუკუნის წინათ ავირჩიეთ. ეს გზა ია-ვარდი როდი იყო მოფენილი. ასეც რომ ყოფილიყო, ვარდიც ხომ ეკლიანია. ამ გზაზე ჩვენ ერთი შეხედვით აუღებელი ციდებიც გვხვდებოდა და თითქოს გადაულახავი ხეობებიც. ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ დავძლიეთ მთავარი სიძნელეები და შეუკავებლად მივდივართ წინ — კომუნიზმისაკენ.

ამ სამყაროდან ისმის ყეფა. ის ყეფა ისტორიის ქარიშხალში ქრება და იკარგება, ჩვენი ქარავანი კი წინ მიდის!

ვლ. მაჭავარიანი.

...ქარავანი კი წინ ვიდის

ჟურნალისტის თვალით

ROგორC სინხუას სააგენტო იუწყება, ამ დღეებში გაიმართა პეკინის ეგრეთწოდებული „რევოლუციური კომიტეტის“ გაფართოებული სხდომა. სხდომაზე გამოვიდნენ ჯოუ ენ-ლაი, ჩენ ბოდა, ვან ხონ, ძიო ძე-დუნის ყოფილი ძალი ცინი და „კულტურული რევოლუციის“ საქმეთა ჯგუფის ზოგიერთი სხვა ხელმძღვანელი. სიხხუას საგენტოს ცნობის ავტორები ამ სტუმბებს უწოდებენ „საბრძოლო მოწოდებებს“, რომლებიც შეესაბამებიან მაო ძე-დუნის „დიად სტრატეგიულ გეგმას“. სხდომაზე ორატორები ქება-დიდებას ასხამდნენ „კულტურული რევოლუციის“ „მოდელებს“ და ხაზს უსვამდნენ, რომ ახლა მთავარი ამოცანაა „ერთი ნაბიჯითაც არ ჩამოვრჩეთ მაო ძე-დუნის სტრატეგიულ გეგმას“, „გავაკრიტიკოთ და პატიჟი აიყაროთ იმათ, ვინც პარტიის ხელისუფლების სათავეში დგას და პოლიტიკურად, იდეოლოგიურად და თეორიულად კაპიტალისტური გზით მიდის (ასე უწოდებენ ახლა ჩინეთში იმათ, ვინც ოდნავ მაინც ყოყმანობს და არ ეთანხმება მაო ძე-დუნის ჯგუფის პოლიტიკას).

„რევოლუციური კომიტეტის“ სხდომაზე მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ ბოლო უნდა მოეღოს „ძალადობრივ ბრძოლას“. ეს აღასტურებს ჩინეთში მყოფ უცხოელ კორესპონდენტთა ცნობებს, რომ ხელის პროვინციაში და ბეკინის კვლავ ცხადყოფენ, რომ მთელ რიგ პროვინციებში მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. გაზეთი „ნანფან ჟიბაო“, რომელმაც ამას წინათ დაბეჭდა სტატია ძიანსინში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, აცხადებს, რომ ამ პროვინციაში მაო ძე-დუნის მოწინააღმდეგენი „კულტურული რევოლუციის“ დაწყებისთანავე „ებრძოდნენ იმ შტაბის წინააღმდეგ, რომელსაც მეთაურობს თავმჯდომარე მაო“, „სასტიკად ახშობდნენ ძალფენებსა და ხუნვეიბინებს. ცდილობდნენ „ჩაეჭიროთ კულტურული რევოლუციის ეცლილ“. სტატიის ავტორები ამტკიცებენ, რომ ახლა პროვინციაში „იწყება უფრო გაფფთრებული ბრძოლა“. ჯგუფთა შორის, რომ „ბრძოლის ყველაზე ძნელ მომენტში“ მაო ძე-დუნმა პირადად გაგზავნა № 6011, 6810 და ჯარის სხვა ნაწილები, რათა „რაც შეიძლება ბეჯითად დაიბრძოლონ“ ძიანსელ ხუნვეიბინებს და ძიოთანებს.

გაზეთმა „ძიანსი ჟიბაომ“, რომელიც ამ ბოლო დრომდე მაო ძე-დუნის მოწინააღმდეგეთა ხელში იყო, 30 აგვისტოს გამოაქვეყნა „ძიანსის პროვინციის რევოლუციური კომიტეტისა“ და ძიანსის პროვინციის სამხედრო ოლქის სარდლობის შექმნის მოსაბაზადებელი ჯგუფის მიმართვა პროვინციის მოსახლეობისადმი“. მიმართვა მოუწოდებს იმ მუშებს, რომელებმაც წარმოობა დატოვეს, დაეხმარონ „მოსამზადებელ ჯგუფსა“ და არმიის ნაწილებს. რომლებიც „მემარცხენეთა“ (ასე უწოდებენ თავს მაოძედუნელები) მხარეზე იბრძვიან.

29 აგვისტოს გაზეთმა „ხუნან ჟიბაომ“ დაბეჭდა № 6900 ჯარის ნაწილის სარდლობის ცირკულარი, რომელიც მოითხოვს, რომ შეწყვიტონ „ბრძოლა ძალის გამოყენებით“. როგორც ცირკულარიდან ჩანს, ხუნანში დეზორგანიზებულია რკინიგზისა და სამდინარო ტრანსპორტი. ვრძელდება სისხლისმღვრელი შეტაკებანი. ცირკულარით აკრძალულია „ვაგზლებისა და ნავსადგურებისათვის ალყის შემორტყმა“. „ტრანსპორტის მუშებისა და მოსამსახურეების ცემა“, აგრეთვე „ტრანსპორტზე საწარმოო ღონისძიებათა ჩაშლა“.

ამერიკის აეროპლანი განაგრძობს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების ბომბარდირებას ჰაერის მეკობრეები ან ზოგგან სპონტანურ, საავადმყოფოებს, კულესებს. მათ უკვე დაანგრიეს 230-ზე მეტი ბუდისტური პაგოდა და კათოლიკური ეკლესია.

სურათზე: კათოლიკური ტაძრის ნანგრევები. მძიმე ფუგასური ბომბი მოხვდა ეკლესიის აბლოს ხო დონგ კანის სახლს, დაიღუპა მთელი მისი ოჯახი — ექვსი ადამიანი. ცოცხალი დარჩა მხოლოდ ერთი კაცი — ოჯახის უფროსი.

— აქ იყო ჩემი სახლი, ამბობს ხო დონგ კანი და მიუთითებს **უზარმაზარ ორმოზე ტაძრის** ნანგრევებთან.

ფოტო გ. სპირიდონოვისა (ახალი ამბების საგენტო).

ლეიბორისტები ლეიბორისტების წინააღმდეგ

ლონდონი, 6 სექტემბერი. (ხაკდესი). დიდი ბრიტანეთის მთავრობას სამინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი საკითხების გამო გამდიდრულად გააკრიტიკებენ ლეიბორისტული პარტიის ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომელიც ოქტომბრის დამდ

ალზეევანს წავალ მარილზე

სიმღერით გამოვლილი წლები

მთვარიანი ღამეა... ოფლის ორღობეში ზანტად მიმავალ ურმის კოფოზე კავთისხეველი ლექსო ზის და ღიღინებს, ასე კამეჩი ულელს უკეთ გასწევსო. დღის სიცხით დაოსებულ პირუტყვს ღამის სიგრილე ჯანს მატებს. ურემი ჭრიალით ბანს ამბობს. მიწაზე იფნების ჩრდილები გაწოლილან. მეურმე კი ტირის, ალზევანს წავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო. ...ნეტა კავთისხევიდან ალზევანამდე რამდენი დღის სავალია? შორი იქნება, თორემ მეურმე იქ წასვლას ამდენ ნაღველს რათ ჩაატანდა.

ჩრდილი შეტოკდა. სულიერი უნდა იყოს, ფიქრობს გლეხი, მაგრამ იქვე ივიწყებს და კვლავ ალზევანს მღერის: ჩრდილი კი ურემს ფეხდაფეხ მისდევს... მარილს მოვიტან ბროლსაო...

სოფელს სძინავს. ჩუმი ქართული სიმღერა კიდევ ისმის და კიდევ არა.

ჩრდილი ურემს ასდევნებია, ჩრდილი სიმღერას უსმენს. ავი სული არ იყოსო, ფიქრობს ლექსო — ე მანდ რომელი ხარ?!

პასუხად ჩქამიც არ ისმის.

დაგბერდი, მელანდება...

ისევ ჭრიალებს ურემი, ისევ გარეთხმულან იფნის ჩრდილები და კვლავ ისმის ...ჯერ დედას გადაავეხვევი, მერე.. ეს კი მეტისმეტია, ასლა გვერდიდან უყვლა ჭინკა-ჩრდილმა. რომელი ხარ-მეთქი, — შედგა მოხუცი და მთვარიან ღამეს სახრე მოუღერა. ჩრდილმა თავი გასცა, საფარს მოსცილდა, გაძვრა და ორღობეში ფიჩხს ლაწაულუნი აუტეხა. „მე ვარ, ძია ლექსო, მე ვარ“ და უკვე კარგა მოშორებით გაღმიდან მიაყოლა: ალზევანს წავალ მარილზეეე...

თარხნიანთ მარო ყოფილა, უმცროსი გოგო, დახე რა სალამური უდგა ყელში, იცოცხლე შვილო.

ჭინკა-ჩრდილი კი შინისკენ, ესტატე თარხნიშვილის კარჰიდამისკენ მირბოდა და თან გულშიც და ყელშიც ძია ლექსოს ურმული მიჰქონდა.

ტატანთ გულუხვობას მარტო ახლომახლო სოფლებში კი არ გაიგონებდით. სტუმრიანობა მხოლოდ ჭურმარნის ხათრით არა ხდებოდა. ცეკვა-თამაში და ტკბილსაამო ჰარალეც მასპინძლის ანდამატი იყო. ან სხვაგვარად როგორ იქნებოდა, თუ სადილად მხოლოდ ოჯახის წევრებს ერთი დიდი გაწლილი სუფრა არა ჰყოფნიდათ. ესტატესა და ნატალიას ცრა შვილი ჰყავდათ. შვილი შვილიაო, მაგრამ ნაბოლარა გოგო მაინც ძალიან საყვარელი ყოფილა... პატარა მარო ოთხი წლისა იყო, როცა მრავალრიცხოვან სტუმრებს საამოდ უმღერა და ბედნიერ დედ-მამას თვალებზე სიხარული ცრემლებიც მოჰგვარა.

ამ გოგოს სიმღერის ჯადო აქვს, ამბობდნენ აქეთ-იქით. მართლაც ეგრე იყო.

თარხნიშვილების ნაბოლარა გოგო ხან სამკალში ამოჰყო ფდა თავს, ხან კალოზე და ხან ვინ იცის სად. ამ დროს ცქვიტსა და მოუსვენარ მაროს უკვე შეუჯდა ერთი „ჭია“ და ღრღნა დაუწყო. კავთისხევში სიმღერა არ დარჩა, მაროს რომ არ ესწავლა. ის კი არა, ახლომახლო სოფლებში — ერთაწმინდაში, ნოსტაში, ახალქალაქში მეტნაკლებად მომღერალი ოჯახი არ დარჩა, რომელთაგანაც მაროს სიმღერა არ „წამოეღოს“. სიმღერის ტრფიალ გოგოს, აბა, ამ უბრალო სამსახურზე უარს ვინ ეტყოდა, მით უფრო, რომ ესტატეს თავის ირგვლივ ნაცნობ-უცნობებში სიკეთე უხვად ჰქონდა დათესილი.

ოჯახში ყველა მღერიდა. დარდიც და უდარდელობაც სიმღერა იყო. — ბაროს დამიძახეთ, — იტყოდა ხოლმე ესტატე თარხნიშვილი, — ალექსა მოვიდა-თქო, და მარიკ გაღმა სერზე შეგროვილ გოგო-ბიჭებს თავს მიალნებებდა და თარხან-მოურავების უფროს მეცხვარე ალექსანკენ დაეშვებოდა. ალექსა, ბანქმეული მელექსე, ხალხური ოგაგებისა და სიმღერების მცოდნე, პატარა მაროს საყვარელი სტუმარი იყო. მკვირცხლი გოგო ჩობანს დაიმარტოხელებდა და სიმღერითა და არაკების თქმით სიქას აცლიდა.

— ერთხელაც, რა, ძია ალექსა, ერთხელაც, — ყელის წვეთი ეხვეწებოდა მარო მეცხვარეს, და ისიც მეათედ იწყებდა: მაირსიტყვითა მესტვირემ ღმერთი მაღალი ახსენა...

ერთი სიტყვით, სალამური, თარი, დაირა და შეწყობილი სიმღერა ხშირად ისმოდა. ასე იყო შინ. გარეთ კი მარო კაკთისხეველ გოგო-ბიჭებს შეაკრებდა, მღერიდა, ამღერებდა, გუნდის თავში იდგა და წინამძღოლობდა.

დრო მიდიოდა. ესტატე თარხნიშვილი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გორში გადავიდა. იქ მაროს და — ეკატერინე ცხოვრობდა. ერთი დრო იყო ეკატერინე მაროსთან სიმღერას თაკილობდა, მაგრამ ნათქვამია, დროინ მეფობენ და არა მეფენიო, გორს მარო ქართული სიმღერის ისეთ მცოდნედ ეწვია, რომ ცამეტი წლით უფროსი ეკატერინეს გული მოინადირა.

იმხანად მწყობრი მომღერალთა გუნდები ჩვენში არ იყო. მღეროდნენ ლხინში, ცხონელი იყო იმ ოჯახების გვარები, რომლებიც შინაურულ ლხინზე, შესვედრებზე მღეროდნენ ხალხურ სიმღერებს. და უცბად გორის მაზრაში ხმა დაირხა, ქართველი საზოგადოებრიობის წინაშე წარსდგება რვაკაციანი გუნდი მარიამ თარხნიშვილის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობითო. ეროვნული მუსიკა მაშინ მხოლოდ ხელოვნება კი არ იყო, არამედ საქვეყნოქმედო, ვაკაცური საქმე, სამშობლოს სიყვარულის დასტური იყო. ამიტომაც მოაწყდა გუნდის გამოსვლას აუარება ხალხი. სიმღერა სიმღერას მოსდევდა. გუნდის გამოსვლა ხალხმა დიდი აღტაცებით მიიღო. ეს იყო ქართული ეროვნული ზეიმი, რომელზეც ქართლის ხევებიდან და ჭალებიდან წამოვიდა ბავშვობაში ნასწავლი სიმღერა: ალზევანს წავალ მარილზე, მღეროდა მარო თარხნიშვილი. დადგა დრო — ქართლელი გლეხისაგან ნასწავლი სიმღერა კვლავ ხალხს დაუბრუნა: მარილს მოვიტან ბროლსაო. ამჯერად აღარ უკვირდა მომღერალს არც ის სევდა, არც ვარამი. სიმღერამ, ხალხმა თავად ასწავლეს ის რაც გულს აღელვებს. მარილს მოვიტან ბროლსაო... ზნო, ლაზათი, მართლაც მარილი მოუტანა და ისე შეკაზმა ეს სიმღერა, რომ დღესაც თარხნიშვილისეული მარილით იცნობენ ამ ურმულს, მაგ კი კვლავ კოფოზე შემოჯდარი ლექსო აგონდება, რომელსაც მთვარიანი ღამით ავდევნებოდა და დაეკვეტილი უსმენდა. თითქოს სახრეს უღერებს ლექსო, კვლავ გარბის ორღობეში ჭინკა-ჩრდილი და იფნებს იქიდან წკრიალა ხმით გამოძახის „მე ვარ, ძია ლექსო, მე“ და თანაც ხალხურ კილოზე ამთავრებს: ალზევანს წავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო.

თარხნიშვილების სახელი გორის მაზრას გასცდა. დები თბილისში ჩამოვიდნენ და აქ დაიდეს ბინა. მარომ ქართლ-კახური სიმღერის გუნდი ჩამოაყალიბა. ხელოვნების ნაირსახეობათა ჭიდილში ჩნდებოდნენ ვარსკვლავები, რომელთაც ქართული კულტურის ცაზე ჩაქრობა აღარ ეწერათ. სწორედ აქ, ამ მომთხოვნი და მკაცრი მაყურებლების წინაშე წარსდგა მარო თარხნიშვილი თავისი გუნდით. გამოცდა ძნელი იყო. გუნდი „ჩაუხტა ბარათაშვილს“ და „წაიყვანა თამარ ქალი“, „თებრნე წყალზე გაუშვა“ და „ნეტავი გოგოვ მე და შენო“, „ზარს შემოკარ ქართლის მიწავ“, „მოდისო მტერი კახელნო“...

ასე დაიწყო...

მერე ცხოვრებაში მოგზაურობა შეიჭრა. მარიამ თარხნიშვილი გუნდთან ერთად ხან თბილისშია და ხან ქუთაისში, თელავსა და სოხუმში, სენაკსა და სიღნაღში.

სახელი მისი შორს გავარდა, ბათუმში დიდი საქვეყნოქმედო კონცერტი გაიმართა. ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნიკო გოცირიძე. ადვილი წარმოსადგენია რამდენი ხალხი მოაწყდებოდა ამგვარ კონცერტს. სცენის ამ ვარსკვლავებთან ერთად მარიამ და ეკატერინე თარხნიშვილებიც გამოვიდნენ. რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა და კვლავ ურმული...

საქართველოში არ იყო ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ მარო თარხნიშვილს თავისი ხმით არ გაელამაზებინის იგი.

ზარსაც და გლოვასაც თავის ნაღველს ატანს მომღერალი. როცა დიდი მგოსნის აკაკის ნეშტი თბილისისკენ მოჰქონდათ, ქართლის ერთ პატარა სადგურში მარომ გულდათუთქული სიმღერით გააცილა იგი.

გუნდის ოსტატობა იზრდებოდა. ქუთაისში 1927 წელს გამართული ოლიმპიადიდან მარომ თავის გუნდთან ერთად პირველი ადგილი დაისაკუთრა.

დადგა დრო ქართული ხელოვნების საქართველოს გარეთ გატანისა. მარიამ თარხნიშვილი მოგზაურობს უკრაინაში, ბელორუსიაში, რუსეთში, მოლდავეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში. ყველგან იმღერა „გუშინ შვიდი გურჯანელნი“ და „ბერი კაცი ვარ“, „ბიჭო მამალმა იყივლა“ და „შაშვი-ჯაკაბი“, „ნეტავი გოგოვ მე და შენ“ და „გაფრინდი შაო მერცხალო“, „დაიგვიანეს“ და „ორთავ თვალის სინათლე“...

ცხრაასორმოცდაერთი... ცა მოიღრუბლა, სულ უფრო და უფრო ახლო სცდებოდა ნაღმები. ეშელონებით მიდიოდნენ ნაცნობი ადგილებიდან ახლად ულვაშეღერებული ბიჭები იქით, საიდანაც დაბრუნება ყველას ხვედრი არ იყო. მაგრამ მაინც მიდიოდნენ. გამცილებლები ლოცავდნენ, შინმოსვლას უსურვებდნენ და დროდადრო ცრემლს ვერ იკავებდნენ. რა შეეძლო გაეტანებინა ბრძოლაში ამ ახალგაზრდებისათვის მარო თარხნიშვილს. ის რაც ძნელებობისას არაერთს გახსენებია შემდეგ — ქართული ჰანგი, მამაპაპათა ნამღერი, ხალხის უშრეტი გული წყარო.

მერე რამდენი წერილი მიიღო. წინა ხაზიდან თუ ჰოსპიტლებიდან. სწერდნენ და მადლობით იხსენიებდნენ იმ დღეს, როცა მშობლიური სიმღერა, როგორც თილისმა გააყოლა ვაჟკაცებს ფრონტზე „ქართლის მომღერალმა დედამ“.

...მერე სამშობლოს ცაზე კვლავ გამოიდარა. ოცნება სინამდვილედ იქცა. ამ დროისთვის და მერეც უკვე სახელმოხვეჭილი ლოტბარი და მომღერალი გუნდთან ერთად დიდ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა, პედაგოგიური ნიჭი, ალღო, მოთმინება, ხალხური სიმღერების ღრმა ცოდნა, გამოცდილება, ყველაფერი ეს ერთად იყრის თავს მარიამ თარხნიშვილში. მისი შემოქმედება ხალხის წიაღიდან ამომოცენებული კვლავ ხალხის კუთვნილებაა. იგი მღერის და ამღერებს.

სურათებზე: ზემოთ — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მარიამ თარხნიშვილი; ქვემოთ — ახალქალაქის სკოლის მასწავლებელი, თვითნასწავლი მხატვარი თავის ფერწერულ ნამუშევარს უძღვნის მ. თარხნიშვილს.

ფოტო მ. შოშიაშვილისა.

ამას წინათ საქართველოს სახალხო არტისტის მარო თარხნიშვილის შშობლიურმა რაიონმა კახპა ამაგდარ შემოქმედს შეხვედრა გაუმართა. სალამოზე თავი მოიყარეს კახპის მშრომელებმა, რაიონის პარტიულმა ხელმძღვანელებმა, დედაქალაქიდან მიწვეულმა სტუმრებმა. სალამო შესავალი სიტყვით გახსნა კახპის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. მუხიგულაშვილმა. იყო მილოცვები და ყვავილები. ახალქალაქის სკოლის მასწავლებელმა, თვითნასწავლმა მხატვარმა დ. ნავროზაშვილმა ფერწერული ნამუშევარი მიართვა მომღერალს. სპპატეო სტუმრის მიესალმნენ მასწავლებლები რ. ჯაფარიძე, ნ. კიტრიაშვილი, მემონტაჟე ე. მიდელაშვილი.

კახპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გ. ხორგუაშვილმა ილაპარაკა მარო თარხნიშვილის შემოქმედებაზე. აღნიშნა, რომ წინა საუკუნეში დაბადებულს დღესაც შესწევს ახალგაზრდული უნარი გუნდს მეთაურობდეს. შეხვედრის ბოლოს მომღერალთა გუნდმა მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით ქართული ხალხური სიმღერები შეასრულა. „ბერიკაცი ვარ“ და „მრავალჟამიერი“ კვლავ აუღერდა იქ, სადაც სამოცი-სამოცდაათი წლის წინათ მოვარიან ღამეს ურმის კოფოზე წამომჯდარი ძია ლექსოს ჭინკა-ჩრდილი აედევნა და გულში ნადები სიმღერა მოსტაცა — ალზევანს წავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო...

ზ. რცხილაძე.

ბათუმი. პიონერთა და მოსწავლეთა პარკი.

ფოტო ილ. ბაევისა.

მოგზაურობა, ნაისვეანი ჯავაში

ჯავა. (საკ. კორ.). მრავალ დამსვენებელს იზიდავს ლიახვის ხეობის მთის კუროორტი ჯავა. აქ ნახავთ დონბასელ მეშახტეს, ურალელ მეტალურგს, მოსკოველ რკინიგზელს თუ ბაქელ მენავთობეს. ყველა ისინი მოსულან, რათა დაისვენონ, იმკურნალონ, ხოლო შემდეგ ჯანსაღი ენერგიით დაუბრუნდნენ საქმეს. ჯავაში მუშაობენ სანატორიუმები, პანსიონატები, ბავშვთა გამაჯანსაღებელი ბანაკები. მათ ემსახურებიან გამოცდილი ექიმები, სამეურნეო დარგის მუშაკები. მათს განკარგულებაშია სამკურნალო წყალი „ძაუ“.

სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები აღჭურვილი არიან მედიცინის უახლესი აპარატურით. წელს სანიმუშოდ მოეწყო კუროორტის ტერიტორია, გაფართოვდა სამკურნალო ბაზა, გაუმჯობესდა დამსვენებელთა კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ჩვენს არე-მარეში

დურუჯის ემსახურება „ქინძმარაულს“

ყვარელი. (საკ. კორ.). „ზოგი ჭირი“ რომ ხშირად მარგებელიც არის, ეს დიდი ბანია იციან ყვარელელმა მევენახეებმა. მათთვის საიდუმლო რიდი იყო ის ფაქტი, რომ საუკეთესო სამარკო ღვინოს „ქინძმარაულს“ სწორედ გაბოროტებული მდინარე დურუჯის მიერ ჩამოტანილი შლამით მდიდარი ნაკვეთები იძლევიან. დღის წესრიგში დადგა დურუჯის სასიკეთოდ გამოყენება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს საძიებო პარტიამ (ხელმძღვანელი ო. ნარჩემაშვილი) და საქართველოს მევენახეობის, მეღვინეობისა და მეხილეობის საკავშირო ინსტიტუტის ოელავის ზონალურმა საცდელმა სადგურმა (დირექტორი ნ. სულხანიშვილი) ხელი მოჰკიდეს საკითხის შესწავლას. დადგინდა სპილენძით, თუთიით, ნიკელით, გოგირდითა და სხვა ელემენტებით შლამის არაჩვეულებრივი სიმდიდრე, ასეთ ნიადაგებში ვაზის საუკეთესო გამძლე ფესვებები ქლოროზით დაავადებისადმი და სხვ.

ცდებმა ფართო მასშტაბი მიიღო. დურუჯის შლამი მალე მოიპოვებს უფლებებს როგორც მევენახეთა მეგობარი.

ბედნიერი ბილეთი

ამ დღეებში სადგურ ბეღლევის უფროსმა ინჟინერმა გ. ახრახაძემ ზესტაფონის შემსახველ სალარაში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების მერვე გამოშვების ლატარიის 61659 სერიის № 325 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

დ. ბუმბურიძე.

ცნობისმოყვარეთათვის

ოპერაცია ურეციდივოდ

როცა წყლულიან ავადმყოფს ოპერაციის უკეთებენ, კუჭს თითქმის მთლიანად ამოსჭრიან. როგორც წესი, ავადმყოფები იკურნებიან, თუმცა ზოგჯერ რეციდივები ჩნდება. გარდა ამისა, ავადმყოფი ყოველთვის კარგად როდი გრძნობს თავს: ოპერაციის შემდეგ მას ტკივილები აქვს, გული ერევა და აწუხებს სხვა მოვლენები, რომლებსაც ოპერირებული კუჭის ავადმყოფობას ეძახიან.

შეიძლება თუ არა ჩაითვალოს წყლულით დაავადების დროს კუჭის ამოჭრა ოპერაციის ერთადერთ შესაძლო სახეობად? ხომ არ შეიძლება განვკურნოთ ავადმყოფი ისე, რომ კუჭი არ ამოვჭრათ? ამ საკითხზე რამდენიმე წელია მუშაობენ ნოვოკუზნეცკის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ზოგადი ქირურგიის კათედრის თანამშრომლები პროფესორ ბორის ფუქსის ხელმძღვანელობით. კათედრის მუშაობის ძირითადი მიმართულებაა ოპერაციის ისეთი მეთოდების შემუშავება, რომლებიც შესაძლებელს გახდის ავადმყოფისათვის კუჭის შენარჩუნებას.

კათედრის დოცენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ემანუილ პერკინი 1963 წლიდან აკეთებს ასეთ ოპერაციებს. ამ ოპერაციების დროს ავადმყოფს კუჭს არ ამოსჭრიან. ქირურგები მხოლოდ გადაკვეთენ მოხტიალე ნერვს ტოტებს, რომლებიც კუჭისაკენ მიდის. გარდა ამისა, მცირე პლასტიკური ოპერაციის გზით კუჭიდან ფართო გზას აძლევენ საჭმელს. ამ ოპერაციას სელექციური ვაგოტომია ეწოდება. ავადმყოფები კარგად იტანენ მას, ავადმყოფობის რეციდივები შემჩნეული არ ყოფილა.

ასეთი ოპერაციები საბჭოთა კავშირში პირველად კეთდება. სამ წელიწადში 130-ზე მეტი ოპერაცია გაკეთდა, და შედეგები კარგია.

რა თქმა უნდა, წყლულით დაავადებისას ჩვეულებრივ ოპერაციებზეც არ შეიძლება ავიღოთ ხელი. თვითეული ავადმყოფისათვის ეს საკითხი ინდივიდუალურად წყდება.

ვ. ხრისტენკო.
(ახალი ამბების სააგენტო).

ხელისმოწერთა საყურადღებოდ!

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების („სოიუზპეჩატის“) სამმართველო იუწყება, რომ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ეურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა 1968 წლისათვის გრძელდება.

ყოველკვარეული „ნედელია“ და „ფუტბოლი“ ხელმოწერით არ გავრცელდება და გაიყიდება მხოლოდ საცალო ვაჭრობის ქსელში.

ეურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა იწარმოება „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებსა, საგენტოებსა და ხელმოწერის პუნქტებში, საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან საწარმოებსა, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, აგრეთვე უკლებლივ კავშირგაბმულობის ყველა საქალაქო და სასოფლო განყოფილებაში და თბილისის ფოსტამტში.

საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ეურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა 1968 წლისათვის მიიღება ამა წლის 25 ნოემბრამდე, ხოლო სოციალისტური ქვეყნების ეურნალებზე — 1 ნოემბრამდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ხელმოწერა გაფორმდება 1968 წლის თებერვლისა და მომდევნო თვეებისათვის.

საკ. სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების („სოიუზპეჩატის“) სამმართველო.

გამარჯვება ტურკუშიც

გუშინ ტურკეთში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და ფინეთის ნაკრებ გუნდებს შორის. ამ გუნდების ამასწინანდელი შეხვედრა მოსკოვში დამთავრდა ჩვენი ნაკრების გამარჯვებით 2:0, ამიტომ ფინელები რევანშისათვის იყვნენ განწყობილნი.

ანგარიში დასაწყისშივე (მე-2 წუთი) საბჭოთა ფეხბურთელებმა გახსნეს. დაახლოებით 35 მეტრიდან ბურთი საბომ გაიტანა. 13 წუთის შემდეგ მალოფეევის ჩინებული მიწოდებით მასლოვმა ანგარიში გაზარდა — 2:0. მე-17 წუთზე საჯარიმო მოედანზე ლობოფეტმა უხეშად ითამაშა — პენალტი. ელტონენმა საპასუხო ბურთი გაიტანა. ამას 25-ე წუთზე მოჰყვა სიურიპპრას საჯარიმო დარტყმა დაახლოებით 18-19 მეტრიდან და გოლი — 2:2. ტაიმის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ბანიშევსკიმ თავური დარტყმით წინ გაიყვანა საბჭოთა ნაკრები — 3:2.

მეორე ნახევარში ინიციატივას მთლიანად ჩვენი ფეხბურთელები ფლობდნენ. 57-ე წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით საბომ და 62-ე წუთზე მასლოფეევმა კიდევ ორი გოლით გაზარდეს ანგარიში.

გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა 5:2.

ამრიგად, სსრ კავშირის ნაკრები გუნდი მესამე შესარჩევ ჯგუფში ინარჩუნებს ლიდერობას. ოთხი თამაშიდან მას 8 ქულა აქვს. იმისათვის, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ევროპის პირველობის ფინალში გავიდნენ, საჭიროა დარჩენილი ორი შეხვედრიდან ერთი ქულა აიღონ.

საბერძნეთის გუნდს 3 თამაშიდან 3 ქულა აქვს, ფინეთის ნაკრებს 5 თამაშიდან — 2 ქულა, ავსტრიის ნაკრებს — 2 შეხვედრიდან — 1 ქულა.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ: პშენიჩნიკოვი (კაპიტანი), აფონინი, ანიჩკინი, ხურცილავა, ლოგოფეტი, მასლოვი, საბო, მალოფეევი, ჩისლენკო, ბანიშევსკი, გიშოვეცი.

„სელტიკი“ ემზადება

ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელს ცხონელ საკლუბო გუნდს „სელტიკს“ მეტად პასუხსაგები შეხვედრები მოელის კიევის „დინამოსთან“ და არგენტინის „რესინგთან“. პირველი მატჩი ევროპის ჩემპიონთა თასის ახალი გათამაშების შეხვედრა იქნება, მეორე კი საკონტინენტთაშორისო თასისათვის ასპარეზობა.

ამ მატჩებისათვის „სელტიკი“ გაცხოველებით ემზადება, აწყობს საერთაშორისო შეხვედრებს. ერთ-ერთი ასეთი მატჩი შედგა გლასგოში „სელტიკსა“ და საკონტინენტთაშორისო თასის ყოფილ მფლობელ ურუგვაის „პენიაროლს“ შორის.

შეჯიბრებას 65.000 მაყურებელი ესწრებოდა. ბრძოლა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 2:1. „სელტიკიდან“ ორივე ბურთი პირველ ტაიმში ცენტრფორვარდმა უოლსმა გაიტანა. თამამის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე კი სპენსერმა („პენიაროლი“) შეძლო საპასუხო ბურთის გატანა.

ოცდამეათე ტურის წინ

„ა“ კლასის მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივებმა საკავშირო ჩემპიონატის დისტანციის სამ მეოთხედზე მეტი გაიარეს. წინ არის გადამწყვეტი შეხვედრები, რომლებშაც ქვეჯგუფებში უნდა გამოავლინოს უძლიერესნი.

პასუხსაგებ შეხვედრებად უნდა ჩაითვალოს დღევანდელი, რიცხვით ოცდამეათე ტურის მატჩები. ჩვენი რესპუბლიკის ორ გუნდს — ტყიბულის „მეშახტეს“ და ბათუმის „დინამოს“ გასვლითი თამაშები აქვთ — პირველს ლენინგრადში ადგილობრივ „დინამოსთან“, მეორეს ტალინში ტალინის „დინამოსთან“. თბილისს „ლოკომოტივს“ პაექრობა საკუთარ მოედანზე ექნება ნალჩიკის „სპარტაკთან“.

როგორია დღეისათვის ლიდერთა და აუტსაიდერთა, აგრეთვე საქართველოს წარმომადგენელთა მდგომარეობა პირველი ქვეჯგუფის სატურნირო ცხრილში?

წყალბურთელთა ტურნირი

ერთი დღის შესვენების შემდეგ გუშინ თბილისის საკავშირო ტურნირის მონაწილე დინამოელ წყალბურთელთა გუნდებმა განაახლეს ბრძოლა.

თბილისისა და ლვოვის გუნდების მატჩში მეტოქეებმა ორ-ორი ბურთი გაიტანეს — ფრე. კიეველმა წყალბურთელებმა დამარცხეს მოსკოვის ოლქის გუნდი 4:1. მატჩი ალმა-ატასა და ხარკოვის გუნდებს შორის დამთავრდა ალმა-ატელთა გამარჯვებით 7:5.

„ბ“ კლასის მეოთხე ზონაში

გუშინ გაიმართა „ბ“ კლასის მეოთხე ზონის ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი ტურის მატჩები. აი მათი შედეგები:

„კოლხეთი“ (ფოთი) — „დინამო“ (მახჩყალა) 0:2, „შუქური“ (ქობულეთი)—„უროჟაი“ (დარუბანდი) 3:0, „დინამო“ (სოხუმი)—„უროჟაი“ (ცრიმსკი) 0:1, „ენგური“ (ზუგდიდი) — „მაღაროელი“ (ტყიბული) 1:2, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „სევანი“ (ოქტემბერიანი) 3:1.

სპორტული ქრონიკა

⊙ **ნეაპოლში** დაიწყო ევროპის ჩემპიონატი აფროსნობაში („ფინის“ კლასი). სტარტზე გამოვიდა 24 ქვეყნის 43 წარმომადგენელი. მათ შორის არიან საბჭოთა აფროსნები. პირველ რბოლაში წარმატება ხვდა ოლიმპიურ ჩემპიონს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენს ვ. კუვეიდეს, საბჭოთა აფროსანი ვ. კოზლოვი მეხუთე იყო.

⊙ **ჩეხოსლოვაკიაში** ტურნე დაამთავრა მოსკოვის „ლოკომოტივის“ შაიბიან ჰოკეისტთა ნაკრებმა გუნდმა. საბჭოთა ჰოკეისტებმა იქ გამართული სამი მატჩიდან ორი მოიგეს და ერთი წააგეს — დაამარცხეს ქალაქების ხომუტოვისა და ლიტვინოვის ჰოკეისტები 5:0, 6:3 და წააგეს ჩეხეკე-ბუდეიოვიცის საკლუბო გუნდ „მოტორთან“ 4:5.

⊙ **უნგრეთში** ერთ-ერთი ქარხნის ტექნიკოსმა იმრე ჟენაშმ თავისებური რეკორდი დაამყარა მარათონულ ცურვაში. მან ბრატისლავიდან დუნაით ბუდაპეშტამდე 230 კილომეტრი გაცურა. იმრე ჟენაშმა წყალში დაჰყო 41 საათი და 40 წუთი.

⊙ **ინგლისელმა** ველომრბოლმა ბრეჰმმ უმბმა, რომელმაც ამას წინათ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა მოყვარულთა შორის, გადაწყვიტა გახდეს პროფესიონალი. „ერანდ პრის“ საერთაშორისო რბოლაში, რომელიც 25 სექტემბერს გაიმართება, უები როგორც მოყვარული უკანასკნელად გამოვა ასპარეზობაზე.

ტელევიზია

7 სექტემბერი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „პირველკლასელი“, 19.05 — გადაცემა — ტურისტული ბილეკებით“, 19.20 — კონნარკვევი, 19.45 — მუსიკალური გადაცემა — „საიუბილეო სეზონის გახსნის წინ“, 20.10 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1930 წელი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.05 „ეურნალისტთა სატელევიზიო კლუბი“, მიძღვნილი ეურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღისადმი, 22.10 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.25 — მხატვრული ფილმი „სარკმლის წინ მატარებლები დადიან“ (ქართული ვარიანტი).

8 სექტემბერი

10.00 — კინონარკვევი, 10.40 — ბულგარული მხატვრული ფილმი „ატმის ქურდი“, 12.00 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.20 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1930 წელი (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.30 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ხან იცინის, ხან ტირის“, 18.45 — განცხადებები, 18.50 — კინონარკვევი, 19.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — ისინი იბრძოდნენ თქვენი ბედნიერებისათვის. ვ. ნანეიშვილი, 19.25 — კინონარკვევი, 19.35 — „ჩაუ ვლასოთ, ჩაუ ეოვისეირთ“ — 1930 წელი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15 — კინონარკვევი, 20.35 — გადაცემა — „საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები“, 21.25 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.45 — ბულგარული მხატვრული ფილმი „ატმის ქურდი“.

მეცხრე არხი — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 12 ს. საღამოს 17 ს. და 45 წ.

რადიო

8 სექტემბერი
პირველი პროგრამით

11.15 — ბ. ჩაიკოვსკი. საფორტეპიანო ციკლი „წელიწადის დრონი“, 12.00 — საუბარი — „ეურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე“, 12.20 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 13.15 — ა. ეშპაი. უნგრული ჰანგები ვიოლინისა და ორკესტრისათვის, 13.40 — აფხაზური სიმღერები, 17.15 — „მღერის „ნინა პოსტაენიჩევა“, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის — ეურნალ „ვოკრუგ სვეტას“ ფურცლებზე, 18.10 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 18.45— გლინკა. საფორტეპიანო პიესები, 19.00 — საუბარი — „პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები ახალი ამოცანების წინაშე“, 19.15 — „მღერის ლილი გეგელია“, 20.30 — „მეცნიერებისა და ტექნიკის სამყაროში“, 21.00— „ძილისპირული“, 21.15 — კონცერტი ეურნალისტთა თხოვნით, 22.00 — ქართული საბჭოთა ხელოვნება“ — თამარ აბაკელია, 23.20 — ფ. კორელის კონცერტი.

რედაქტორი
დ. მეჯლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის —